# პანდორას ყუთი გახსნილია



4

**საზოგადოება „ქართული“: „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით „ქართული ოცნება“ ხურავს პანდორას იმ ყუთს, რომელიც „ნაციონალებმა“ ქვეყანას ჯერ კიდევ 2004 წელს გაუხსნეს და მოახვიეს თავს**


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№92-93 (9923-9924) 2025 წლის 30 ივნისი, ორშაბათი




## მთავარი გამოწვევა

## ქართველ ხალხს და ხელისუფლებას გვაქვს ორი მთავარი ოცნება — სიღარიბის დაძლევა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა!

2 3



7

**„ახალი კაპადოკიელის“ მადლით ნასაზრდოები პრემიის ლაურეატები**

რეპორტაჟი სხვიტორიდან

**„მაჩაბლობა-2025“**



6



**რატომ დაბრუნდა მოსკოვის მეტროში სტალინი?!** 9

**არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში!..**



13

„მიმღერე-2025“-ის აღმოჩენა...

**ქართული ღვინის წარდგენა ჩინეთსა და ამერიკაში** 12

**ოქტაგონზეა ილია მრისხანე!** 14



დაუვიწყარი სახელები





12

**ნინა ქვანია და მამია ზოდელავა**

საქართველოს რესპუბლიკა

მთავარი გამოწვევა

№92-93. ორშაბათი, 30 ივნისი, 2025 წელი



**ამონარიდები საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ყოველწლიური მოხსენებიდან პარლამენტში სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ**

# ქართველ ხალხს და ხელისუფლებას გვაქვს ორი მთავარი ოცნება — სიღარიბის დაძლევა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა!

**თითოეული ის ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა საქართველოს მთავრობის მხრიდან, ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების, ჩვენს ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვას. ყველას კარგად გვესმის, რომ მშვიდობისა და სტაბილურობის გარეშე არ არსებობს არაფერი. აზრი არ აქვს არც ეკონომიკის განვითარებას, არც ჯანდაცვის მიმართულებაზე, არც კულტურასა და სპორტზე ზრუნვას. მთავარია მშვიდობა და სტაბილურობა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაკეთდა ყველაფერი იმისთვის, რომ შეგვენარჩუნებინა მშვიდობა, სტაბილურობა და დაგვეცვა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ეროვნული სუვერენიტეტი.**

მინდა, ამისთვის თითოეულ თქვენგანს გადაგიხადოთ მადლობა. რა თქმა უნდა, საქართველოს პარლამენტის ჩართულობისა და გადაწყვეტილების გარეშე ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა.

**მინდა,** ამ ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ჩვენ ვსაუბრობდით კონკრეტულ მიღწევებზე, მათ შორის მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაზე, ეკონომიკის განვითარებაზე, სხვადასხვა დარგის განვითარებაზე და, რა თქმა უნდა, ყველა ეს მიღწევა არის პირადად ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურება, რომელმაც 2012 წელს რადიკალურად შეცვალა ხელისუფლების მიდგომა საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი ხალხის მიმართ. ხელისუფლება გახდა მზრუნველი საკუთარი ხალხის, ადამიანების მიმართ და ხელისუფლება გახდა მზრუნველი საკუთარი ეროვნული ინტერესების მიმართ. ამის გამოძახილია ის შედეგები, რომლებზეც მე დღეს მქონდა საუბარი, დაწყებული მშვიდობის შენარჩუნებით და დამთავრებული ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპით, რომელსაც მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ. კიდევ ერთხელ მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს ამისათვის.

**ჩვენ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოვიარეთ მნიშვნელოვანი პროცესი, რაც უკავშირდებოდა სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ქვეყნის კონსტიტუციურ წესრიგზე ძალადობრივ თავდასხმას, რომელიც განხორციელდა ნოემბრის ბოლოს, დეკემბრის დასაწყისში. ყველას გვახსოვს ძალიან მძიმე ხუთი დღე, როდესაც წინასწარ შემუშავებული გეგმით, კონკრეტული ძალადობრივი ჯგუფები დაუპირისპირდნენ სახელმწიფოებრივ ინტერესებს და სახელმწიფო სუვერენიტეტს და ეს ყველაფერი განხორციელდა გარე ჩარევის საფუძველზე, რაც იყო სრულიად ნათელი და აშკარა.**

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერავის მივცემდით სახელმწიფო სუვერენიტეტის და კონსტიტუციური წესრიგის ხელყოფის შესაძლებლობას და აქ მე მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს ძალოვან სტრუქტურებს, შსს-ს, თითოეულ პოლიციელს, რომლებიც ამ ძალადობრივი თავდასხმის აღკვეთაში იყვნენ ჩართული. მადლობა მათ ამისათვის — სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, ყველა ძალოვან სტრუქტურას, რომლებმაც წარმატებით უზრუნველყო ამ თავდასხმის აღკვეთა.

**მთავარი მადლობა ეკუთვნის ქართველ ხალხს, რომ არა ქართველი ხალხი, მისი სიბრძნე, მისი მხარდაჭერა, ვერცერთი შედეგი ვერ იქნებოდა მიღწეული. გადამწყვეტი იყო ქართველი ხალხის ნება, რომელიც გასული წლის 26 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში გამოვლინდა. ეს იყო ძალიან რთული არჩევნები, იყო ძალიან სერიოზული, უხეში გარე ჩარევა, იყო ყალბი გზავნილის თავსმოხვევის მცდელობა, თითქოს ეს იყო რეფერენდუმი რუსეთსა და ევროპას შორის, ასეთი გზავნილები კარგად გახსოვთ. სინამდვილეში ეს იყო ნამდვილად რეფერენდუმი, ოღონდ სასწორზე იდო ორი სხვადასხვა რამ, ეს იყო ომი და მშვიდობა.**

საბოლოო ჯამში ქართველმა ხალხმა სწორედ თავისი სიბრძნით მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება მშვიდობის სასარგებლოდ და სწორედ ქართველი ხალხის დამსახურებაა, პირველ რიგში, ის, რომ ქვეყანას აქვს მშვიდობა და ქვეყანა აგრძელებს სტაბილურ განვითარებას. კიდევ ერთხელ განსაკუთრებული მადლობა ქართველ ხალხს ამისათვის.

**მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს დედაეკლესიას, მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში, წლების და საუკუნეების განმავლობაში დგას ჩვენი ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე. ყოველ ჯერზე, მათ შორის რთულ მომენტებში, ეს ძალიან მკაფიოდ გამოვლინდა. მადლობა ჩვენს დედაეკლესიას და უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ამისათვის.**

გარედან მუდმივი რყევის ფონზე, ვიღაცებმა ჩათვალეს, რომ სახელმწიფო იყო დასუსტებული და გადაწყვიტეს, ეძალადათ სახელმწიფოზე, მათ შორის, ამის გამოვლინება იყო ნოემბერ-დეკემბრის მოვლენებიც. რატომღაც ძალიან ბევრი სუბიექტი იყო დიდგულზე ჩვენს სახელმწიფოსთან. ვხედავდით მცდელობებს იმისა, რომ გარედან დაესუსტებინათ სახელმწიფო ინსტიტუტები, ფარული დაფინანსებით გაეკეთებინათ ეს ყველაფერი, მაგალითად, გარე ფარული დაფინანსებით ცდილობდნენ შეერყიათ ჩვენი ეკლესიის რეპუტაცია, აფინანსებდნენ ლგბტ პროპაგანდას, პოლიტიკურ აქციებს და ა.შ. ეს ყველაფერი ხდებოდა ფარულად, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისგან ფარულად. რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ეს ყველაფერი გაუვიდოდათ და იქნებოდა შესაძლებელი.

თქვენ გახსოვთ ასევე, მაგალითად, პირდაპირ უხეში ჩარევა სასამართლოს დამოუკიდებლობაში, არაერთი ჩარევა, მაგრამ მინდა, გაგახსენოთ ერთი კონკრეტული ფაქტი, როდესაც ჩვენი მართლმსაჯულების სისტემის კონკრე-



# მთავარი გამოწვევა



ტული მოსამართლე დაიბარა ერთ-ერთი საელჩოს წარმომადგენელმა და მოსთხოვა ანგარიში კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, ამით პირდაპირ დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია, ვენის კონვენცია, დაარღვია და ფეხქვეშ გათელა ყველა პრინციპი სამართლის და დიპლომატიური ურთიერთობების. ამის შემდეგ ამ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომაც გამოიტანა გადაწყვეტილება და მან თავიდან ბოლომდე სამართლიანად ცნო ქართველი მოსამართლის გადაწყვეტილება, თუმცა ბოდიშიც არავის მოუხდია. ვიღაცამ ჩათვალა, რომ შეიძლება ასე მოეპყროს ქართულ სახელმწიფოს. ჩათვალეს, რომ სახელმწიფო იყო დასუსტებული და ასე უდიერად ეპყრობოდნენ ჩვენს სახელმწიფოებრიობას და, კონკრეტულად, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას.

ვიღაცამ ჩათვალა, რომ უცხოელს შეეძლო, გარედან დაეწერა ჩვენთვის კანონები. მახსოვს, სულ რაღაც 2-3 წლის წინ, როგორ ისხდნენ უცხოელები, მათ შორის, დიპლომატები, რომლებსაც არავითარი შეხება არ შეიძლება ჰქონდეთ კანონმდებლობასთან და კანონშემოქმედებასთან, პირდაპირ მაგიდის გარშემო ისხდნენ და ჩვენთან ერთად, ხშირად ჩვენი გვერდის ავლით წერდნენ ხოლმე და თავს გვახვევდნენ კანონებს. ვიღაცამ ჩათვალა, რომ სახელმწიფო იყო დასუსტებული და შეიძლებოდა ასე მოქცეოდნენ ქართულ სახელმწიფოს.

ასევე მახსოვს, როგორ გვკარნახობდნენ გარედან, ვინ უნდა დარჩენილიყო, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრად და ვინ – არა. ასეთი ფაქტებიც იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ჩათვალეს, რომ სახელმწიფო დაასუსტეს და ასე უხეშად შეიძლებოდა მოქცეოდნენ. ჩათვალეს, რომ შეიძლებოდა შეურაცხყოფა მიეყენებინათ, ხელი გაერტყათ პოლიციელებისთვის და ეს უნდა ყოფილიყო მისაღები მოვლენა.

რატომღაც ასე ჩათვალეს, რომ სახელმწიფო იყო დასუსტებული და მას არ ექნებოდა ამაზე რეაგირების შესაძლებლობა. ჩათვალეს, რომ ვიღაცას შეიძლებოდა არ ეღიარებინა საპარლამენტო არჩევნების შედეგები, პარლამენტი არ შემოსულიყო ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში და ამის საფუძველზე ჩვენ უნდა დაგვეწყო მოლაპარაკებები და ხელი უნდა მოგვეწერა თავსმოხვეულ ანტიკონსტიტუციურ შეთანხმებაზე. ჩათვალეს, რომ დასუსტებული იყო სახელმწიფო და ასე შეიძლებოდა მოქცეოდნენ.

ასევე ვიღაცებმა ჩათვალეს, რომ როდესაც იყო ასაშენებელი, მაგალითად, ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ჰიდროელექტროსადგური, ვიღაცები შეიძლება გამოსულიყვნენ და არ დაეშვათ ეს ყველაფერი. ჩათვალეს, რომ სახელმწიფო არ იყო საკმარისად ძლიერი ამისათვის.

ვიღაცამ ჩათვალა, რომ შეიძლებოდა ფული მოეპარა. ჩათვალა, რომ არ იყო სახელმწიფო საკმარისად ძლიერი იმისათვის, რომ ამაზე რეაგირება მოეხდინა. ვიღაც ნარკოტიკს ჰყიდდა, ახალგაზრდებს წამლავდა და ა.შ. ეს ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. ვიღაცებმა, არასწორმა ადამიანებმა, უცხოელებმა, ქართველებმა მიიჩნიეს, რომ გარე რყევების საფუძველზე



სახელმწიფო იყო დასუსტებული და შეიძლებოდა დაპირისპირებოდნენ. ჩვენ დღეს გვაქვს სრულიად ახალი რეალობა.

**არასდროს არ დავუშვებთ თვითნებობას და ძალადობას სახელმწიფოს წინააღმდეგ – არც ქვეყნის გარედან და არც ქვეყნის შიგნიდან.**

**კორუფციის მიმართ ვიქნებით სრულიად შეურიგებლები. ეს არის ახალი გუნდის შერჩევის მთავარი კრიტერიუმი საქართველოს მთავრობაში. კეთილსინდისიერება არის მთავარი. ზოგადად, როდესაც საუბარია საკადრო გადაწყვეტილებებზე, ორ ძირითად კრიტერიუმს ენიჭება ხოლმე უპირატესობა - ეს არის კეთილსინდისიერება და საქმის ცოდნა, პროფესიონალიზმი. თუმცა კეთილსინდისიერება მაინც არის უმთავრესი პრიორიტეტი. პროფესიონალიზმი შეიძლება ისწავლო, მაგრამ თუ კეთილსინდისიერად არ უდგები საქმეს, პროფესიონალიზმს არ აქვს არავითარი ფასი. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სამთავრობო გუნდის კეთილსინდისიერებაზე და ეს ყველაფერი უზრუნველყოფს იმას, რომ ჩვენ გვექნება ძალიან დიდი მიღწევები ამ მიმართულებით.**

**ნარკოტიკული** დანაშაულის მიმართ ვიქნებით აბსოლუტურად შეურიგებლები. ვერავის მივცემთ ჩვენი თანამოქალაქეების, მათ შორის, ახალგაზრდების მოწამვლის საშუალებას; ვერავის მივცემთ იმის საშუალებას, რომ გარე დაფინანსებით, გაუმჭვირვალედ დააფინანსონ პრონარკოტიკული კამპანიები ჩვენს ქვეყანაში; წაახალისონ მარიხუანის, კლუბური ნარკოტიკების და სხვა მსგავსი საშუალებების მოხმარება. მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ გამჭვირვალობის შესახებ და გრანტების შესახებ კანონის მიღებისთვის. სწორედ ასეთი ქმედებების წინააღმდეგ არის მიმართული ეს კანონმდებლობა. ვერავის მივცემთ იმის საშუალებას, რომ გარე დაფინანსებით, საზოგადოებისგან მალულად ასეთი მანკიერება შემოიტანონ ჩვენს ქვეყანაში. არ დავუშვებთ თვითნებობას სახელმწიფოს წინააღმდეგ, დავუპირისპირდებით სახელმწიფო ინსტიტუტების, ჩვენი დედაეკლესიის დაკნინების ნებისმიერ მცდელობას. ამ ყველაფერს ვხედავთ ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში და ესეც ხდებოდა გარე დაფინანსებით, საზოგადოებისგან ფარული დაფინანსებით მთელი ამ წლების განმავლობაში. ამას, რა თქმა უნდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავუშვებდით და არც მომავალში დავუშვებთ.

დავუპირისპირდებით ძალიან მკაცრად სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელყოფის, სახელმწიფოს იდენტობის შერყევის და ყალბი ფასეულობების თავს მოხვევის აბსოლუტურად ყველა მცდელობას. ჩვენ გვაქვს საამაყო ქვეყანა და ძალიან ღირსეული სახელმწიფო. ჩვენი ქვეყანა ითვლის 3 000 წელს და ჩვენი სახელმწიფოებრიობა, ფარნავაზიდან მოყოლებული, ითვლის 23 საუკუნეს. ჩვენი სახელმწიფოებრიობა, სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა დღემდე მოიტანეს ჩვენმა გმირებმა, წინაპრებმა, მათ შორის, 90-იანი წლების ომების გმირებმა, 2008 წლის ომის გმირებმა და გვაქვს ძალიან კონკრეტული პასუხისმგებლობა ჩვენი გმირების, წინაპრების, ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, რომ მტკიცედ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა და ეროვნული ინტერესები. ამისკენ იქნება მთავრობის საქმიანობა მიმართული მომავალშიც.

**ჩვენ გვაქვს ორი მთავარი ოცნება, ორი მთავარი ქართული ოცნება – ეს არის ჩვენს ქვეყანაში სიღარიბის საბოლოოდ დაძლევა და ძალიან სწრაფი ტემპით მივდივართ ამ მიმართულებით, საშუალოვადიან პერსპექტივაში გვექნება ამ მიზნის სრულად მიღწევის საშუალება; მეორე – ეს არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რაც არის ჩვენი ეროვნული ოცნება. ყველა ის ნაბიჯი, რომლებიც იდგმება საქართველოს მთავრობის მხრიდან, საბოლოო ჯამში ამ ორი ქართული ოცნების ასრულებისკენ არის მიმართული. დარწმუნებული ვარ, ჩვენი საერთო ძალისხმევით, გუნდური მუშაობით, ყველა ეს მიზანი საბოლოოდ იქნება მიღწეული ჩვენი ქვეყნისთვის, გაგრძელდება ჩვენი ქვეყნის წინსვლა და განვითარება. მადლობა ყურადღებისთვის. ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოს!**

27.06.2025

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური



## ნომრის ციტატა

**დავით ქართველიშვილი:**

# აქ ჯერჯერობით „ჩინური გამბიტია“...



**პარტია „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი დონალდ ტრამპის** მიერ ჩინეთთან დადებულ სავაჭრო შეთანხმებას სოციალურ ქსელში ეხმაურება და წერს, რომ ტრამპმა ამ ნაბიჯით მორალური ტრავმა მიაყენა დავით უსუფაშვილს, თინა ხიდაშელს და გრიგოლ გეგელიას.

მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, ამერიკის პრეზიდენტმა ძალიან მალე რუსეთისთვის დაწესებული სანქციებიც გააუქმოს, რაც ბოკუჩავა/ჩერგოლეიშვილის საინფარქტო თემა იქნება.

**„მე გამოვრიცხავ, მას არ სცოდნოდა ამით რა მორალურ ტრავმას მიაყენებდა დავით უსუფაშვილს, თინა ხიდაშელს ან გრიგოლ გეგელიას. გამოვრიცხავ იმის გააზრებასაც კი, რომ მან არც კი იცის მათი არსებობის შესახებ. მკრეხელობაა! საქართველოს პარლამენტის ექს-სპიკერი, თავდაცვის ექს-მინისტრი და „ლელოს“ ერთპიროვნული ლიდერი და ამ პარტიიდან პრემიერ-მინისტრობის უალტერნატივო კანდიდატი (წინა ორს ორი წლით აეკრძალა პრემიერ-მინისტრობა) შანსი არაა, არ სცოდნოდა.**

**ამიტომ, მე არ მესმის, რატომ გადადგა დონალდ ტრამპმა ეს ნაბიჯი, მას შემდეგ რაც გეომეტრიული პროგრესიით უზრდიდა ჩინეთს სავაჭრო ტარიფებს. ამერიკის პრეზიდენტი ერთ ნაბიჯშია რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების გაუქმებასთან, მაგრამ ეს უკვე ბოკუჩავა-ჩერგოლეიშვილის საინფარქტო თემაა. აქ კი ჯერჯერობით „ჩინური გამბიტია“ და როგორ გადაიტანენ ამ ყველაფერს ადგილობრივი „ტაივანჩიკები“, ვერ გეტყვით“...**

**კულტურის სამინისტრო:**

# პაატა ბურჭულაძე ცრუობს!



**პაატა ბურჭულაძის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მას შეუწყდა რუსთაველის პრემია, „იმედინიუსი“ კულტურის სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდა.**

კულტურის სამინისტროში აცხადებენ, რომ:

**„პაატა ბურჭულაძის მიერ გავრცელებული ინფორმაცია რუსთაველის პრემიის შეწყვეტის შესახებ არის სიცრუე და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მორიგი მცდელობა. ყველა სახელმწიფო პრემია, ყველა სტიპენდია, მათ შორის ფონდი „ქართუს“ სტიპენდიები, ყოველთვიურად უცვლელად და დროულად ირიცხება“,** – განუცხადეს **„იმედინიუსს“** კულტურის სამინისტროს პრესსამსახურში.

საზოგადოება ქართული

# პანდორას ყუთი დახურულია!



## საზოგადოება „ქართული“: „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით „ქართული ოცნება“ ხურავს პანდორას იმ ყუთს, რომელიც „ნაციონალებმა“ ქვეყანას ჯერ კიდევ 2004 წელს გაუხსნეს და მოახვიეს თავს

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით „ქართული ოცნება“ ხურავს პანდორას იმ ყუთს, რომელიც „ნაციონალებმა“ ქვეყანას ჯერ კიდევ 2004 წელს გაუხსნეს და მოახვიეს თავს. ამ სათაურით აქვეყნებს ვრცელ წერილს საზოგადოება „ქართული“. საზოგადოების თანადამფუძნებლები ცვლილებების მიღებას ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ითხოვდნენ.

„წლების განმავლობაში ცილისწამების მანქანა, რომელიც შეფუთული იყო სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ნეოლიბერალური მანტიით, სისტემურად ავრცელებდა საზოგადოებაში სიძულვილსა და ზიზღს.

„წყაროს არდასახელება“ და „ჟურნალისტური საიდუმლოების“ უპირობო დაცვა იყო ის ბერკეტები, რომელსაც გარედან მართული რადიკალები აქტიურად იყენებდნენ საზოგადოების დეზორიენტაციისა და დაშინებისთვის“, – აღნიშნულია წერილში და ჩამოთვლილია შეერთებულ შტატებსა და ევროპაში გათვალისწინებული სასჯელის ზომები ცილისწამების შემთხვევაში.

„სწორედ დასავლურ ქვეყნებში მიჩნეულია ცილისწამება „წითელ ხაზად“, რომლის გადაკვეთა დაუშვებელია.

აშშ-ში ცილისწამება უმეტესად სამოქალაქო სამართლის სფეროა და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ წარმოადგენს კრიმინალს. თუმცა ცილისმწამებელს ხშირად ეკისრება სოლიდური ფინანსური პასუხისმგებლობა, საჯარო ბოდიშისა და დეზინფორმაციის უარყოფის ვალდებულებით.

ევროკავშირის რიგ ქვეყნებში, განსხვავებით აშშ-სგან, ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაულად განიხილება, მაგალითად: გერმანიაში განსაზღვრულია ჯარიმა, ან 1 წლამდე პატიმრობა (მედიით გავრცელების შემთხვევაში – 2 წელი); საფრანგეთში – ჯარიმა ან 1 წლამდე პატიმრობა; იტალიაში 1-დან 3 წლამდე პატიმრობა ან ჯარიმა, განსაკუთრებით, თუ ის გავრცელდა მედიით; ესპანეთში – ჯარიმა, ან 6 თვიდან 2 წლამდე პატიმრობა.

ჩვენი აზრით, „ქართული ოცნება“ ამ კანონპროექტით რეალურად ხურავს პანდორას იმ ყუთს, რომელიც „ნაციონალებმა“ ქვეყანას ჯერ კიდევ 2004 წელს გაუხსნეს და მოახვიეს თავს.





გოკერია-რამიშვილის კანონად წოდებული ეს სამართლებრივი პრინციპები დღემდე ეფექტურად ემსახურებოდა გარე ძალების ინტერესებს, რომელთა მიზანი გაცხადებულია: ქართული საზოგადოების დაყოფა და რადიკალიზაცია, ავტორიტეტების შეურაცხყოფა, ისტორიის და ეროვნული სიმბოლოების, ყოველივე იმის დისკრედიტაცია, რაც გვაერთიანებს.

სწორედ ამიტომ ნეოლიბერალური აგენტურა განსაკუთრებული სიმწვავით ესხმოდა და ესხმის თავს ეკლესიას და პატრიარქს, ავრცელებს ჭორებს ისტორიულ პიროვნებებზე, გმირებზე, სათაყვანებელ მეფეებს, თუ მოღვაწეებზე.

განსაკუთრებული ზეწოლისა და ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ ხვდება ყველა გამორჩეული ხელოვანი, სპორტსმენი, მეცნიერი, მწერალი, მსახიობი, რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე, ვინც მათ დესტრუქციულ იდეებს არ იზიარებს. მათი მთავარი სამიზნე მაინც ახალგაზრდობაა, რომლის გონებაზე მიმდინარეობს ინტენსიური იდეოლოგიური შტურმი.

ასეთივე სამიზნეა ნამდვილი ქართული საზოგადოება, რომელიც უნდა ჩაირეცხოს (მიხეილ სააკაშვილი), რათა მონოპოლია საზოგადოებრივ აზრზე უცხოური დაფინანსებით მოქმედ „უსამშობლო“ სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონდეს.

საბოლოოდ, ეს ლაბორატორია ემსახურება „ახალი ადამიანის“ გამოყვანას, რომელსაც უნდა სწამდეს, რომ პატრიოტიზმი სირცხვილია, დასავლეთის ინტერესების საკუთარი ქვეყნისაზე მაღლა დაყენება კი – პროგრესულობა. მათთვის ტრადიციები ჩამორჩენილობაა, ქართველობის შეგნება – პრობლემა, ხოლო საკუთარი ქვეყნის დისკრედიტაცია უცხოეთში – პროდასავლურობა.

წლების განმავლობაში არსებულმა, სწორედ ასეთმა “ორუელისეულმა გარემომ” გააქრო საზოგადოებრივი სივრციდან აკადემიური აზრი, სულიერება, პატივისცემა, მიუკერძოებელი განსჯა ერის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. კულტურა შეცვალა მასკულტურამ, ჯანსაღი ურთიერთობები — უკულტურობამ, უხამსობამ, უზრდელობამ, ბილწსიტყვაობამ და სიძულვილის ენამ

ვიმეორებთ, ეს არ იყო სპონტანური პროცესი, არამედ – გარედან გლობალური ნეოლიბერალური ძალების მიერ მართული შორსგამიზნული სტრატეგია, რომელიც დასავლური პროგრესულობის მანტიით შენიღბულმა ვოუქურმა დოქტრინებმა მოიტანეს. ისინი ანადგურებენ ყველაფერს, რაც ეთიკური, ჰუმანური და ქართულია. ჩვენეული კულტურული ღირებულებები — სოლიდარობა, თანასწორობა, სტუმართმოყვარეობა, ოჯახის, ქალისა და უფროსის პატივისცემა, იდენტობის განმსაზღვრელი მამული, ენა და სარწმუნოება – მათთვის არის გასანადგურებელი „ბარიერები“.

სწორედ ამ ღირებულებებით ვართ ჩვენ ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, ევროპის, რომელიც დღეს აშკარა ღირებულებით კრიზისშია.

ჩვენი ვალია, ჩვენი და საკაცობრიო ფასეულობები დავიცვათ მათგან, ვინც ანტიეროვნულ, ანტიკულტურულ, ანტიევროპულ და ანტიჰუმანურ გზას გვახვევს თავს.

ამიტომაა ეროვნული მნიშვნელობის ამოცანა რადიკალური და ერის გამთიშავი სოციალ-პოლიტიკური და მედია გარემოს შეცვლა – შეჭირვებულ მოყვასზე ზრუნვის, აღმშენებლობისა და ერთიანობის სულისკვეთებით, სიმშვიდისა და სიყვარულის აღდგენით და, რაც მთავარია, ყოფასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კულტურის და ეთიკური ნორმების დაბრუნებით.

ცვლილებები „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში სწორედ რომ საქართველოს წინაშე დღეს მდგარი ამ ისტორიული ამოცანების გადაჭრას ემსახურება და ჩვენი საზოგადოება მხარს უჭერს და მიესალმება მას. ვფიქრობთ, ამით „ქართულმა ოცნებამ “ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისკენ“. – ნათქვამია წერილში.

**მკითხველს შევახსენებთ, რომ საზოგადოება „ქართული“ ერთი წლის წინ, 14 აპრილს – ქართული ენის დღეს დაფუძნდა და მასში აკადემიური წრეების, კულტურისა და სპორტის სფეროს ცნობილი და წარმატებული წარმომადგენლები არიან გაერთიანებული.**

# გიორგი ჯინჭარაძე: ეს არის ერთადერთი ფორმატი, სადაც აფხაზებთან მოლაპარაკებების შესაძლებლობა გვეძლევა!



**2025 წლის 25-26 ივნისს ჟენევაში საერთაშორისო მოლაპარაკებების 64-ე რაუნდი გაიმართა,** – ამის შესახებ ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.

„სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ჯინჭარაძე მონაწილეობდა.

მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, მოლაპარაკებების 64-ე რაუნდის ფარგლებში ქართულმა დელეგაციამ ძირითადი აქცენტი გააკეთა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე, როგორიცაა რუსეთის მიერ ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების სრულად შესრულების აუცილებლობა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების საკუთარ სახლში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება.

„მიმდინარე რაუნდზე ქართულმა მხარემ აქტუალურად დავაყენეთ ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი და გამოწვევა, რომელიც ჩვენ დევნილ საზოგადოებას უკავშირდება. ხაზი გაესვა უკანონო დაკავებებს, გადაადგილების შეზღუდვას და ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვას.

მინდა აღვნიშნო, რომ მოლაპარაკებებზე როდესაც საკითხი შეეხო ჩვენი დევნილების უპირობო დაბრუნებას მათ საკუთარ სახლებში, აფხაზური მხარის მიერ მოხდა მოლაპარაკებების დატოვება, რაც სიახლე არ არის ჩვენთვის, თუმცა ეს არის ერთადერთი ფორმატი, სადაც აფხაზებთან მოლაპარაკებების შესაძლებლობა გვეძლევა და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მიერ დასმული ყველა საკითხი აუცილებლად გამოიღებს გარკვეულ შედეგს“, – განაცხადა გიორგი ჯინჭარაძემ.

მოლაპარაკებები ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს თანათავმჯდომარეობით და საქართველოს, რუსეთის ფედერაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით იმართება. სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს ესწრებიან აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ისევე, როგორც ოკუპირებულ ცხინვალსა და სოხუმში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები.

მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი 2025 წლის 11-12 ნოემბერს გაიმართება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# რაც კარგია, კარგია!



## ნინო ლაცაბიძე: სამ მსხვილ პროექტს ვახორციელებთ

**რუსთავში, ჭყონდიდელის სახელობის უბანში ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა ერთდროულად რამდენიმე ლოკაციაზე ეწყობა. ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე და რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე მონიტორინგის მიზნით, ადგილზე გაეცნენ.**

ჭყონდიდელის სახელობის უბანში, მცხეთის, სამშვილდის და ნეკრასოვის ქუჩებზე, ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, ახალი საავტომობილო გზისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობაა გათვალისწინებული. სამივე ქუჩაზე ჯამში 15 000 კვ/მ ფართობის ახალი გზა დაიგება, გამოიცვლება მიწისქვეშა კომუნიკაციები. სამუშაოები ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 1 700 000 ლარია.

„საქართველოს სამთავრობო გუნდის მხარდაჭერით, რუსთავში, გიორგი ჭყონდიდელის სახელობის უბანში, მერიის გუნდი სამ მსხვილ პროექტს ვახორციელებთ. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნა იყო და დარწმუნებული ვარ, რომ სამუშაოების დასრულების შემდეგ აქ მაცხოვრებლების ყოფა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება", - განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს გრანელის, გიორგაძისა და ჯავახიშვილის ქუჩებზეც, სადაც 11 შიდა ეზოსა და შიდაკვარტალური გზის რეაბილიტაციაა გათვალისწინებული. პროექტის ღირებულება 848 140 ლარია. ორივე პროექტი ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება.

წელს რუსთავში ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა ჯამში 65 000 კვ/მ ფართობზე მოეწყობა. ამ ეტაპზე კი სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები ქალაქში 300-ზე მეტ ლოკაციაზეა აქტიური.

საქართველოში პირველი მუნიციპალური სერვისების ცენტრი რუსთავში 2023 წლის მარტში გაიხსნა. ცენტრში რუსთაველები 100-ზე მეტი მუნიციპალურ სერვისს ერთ კომფორტულ და თანამედროვე სივრცეში იღებენ. შენობა აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკით და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების მისაღებად. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ცენტრის მომსახურებით, 140 ათასზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა.

## რიკოთის დარჩენილი 4 კმ-იანი 4-ზოლიანი მონაკვეთის 2 ზოლის მშენებლობა დასრულდა



**რიკოთის 4-ზოლიანი ჩქაროსნული გზის დარჩენილი 4 კმ-იანი მონაკვეთის აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებაზე 2 ზოლის მშენებლობა დასრულდა და ავტოტრანსპორტის მოძრაობა 29 ივნისს გაიხსნა,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, ახალ 2 ზოლზე დროებით გადაერთვება ორივე მიმართულების სატრანსპორტო მოძრაობა: ერთი ზოლი მოემსახურება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალ ტრანსპორტს, ხოლო მეორე ზოლი – დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მომავალ ტრანსპორტს.

**„მოძრაობის გადართვისთანავე, დაიწყება ამავე მონაკვეთზე არსებული ძველი გზის მაგისტრალურ გზად რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში, მოეწყობა 2-ზოლიანი ჩქაროსნული გზა და 5 ახალი ხიდი.**

**სამუშაოების დასრულების შემდეგ, რიკოთის 52 კმ-იანი მაგისტრალი სრულად იქნება გახსნილი ავტოტრანსპორტისთვის, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გადაადგილებას. რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, სულ შენდება 52 კმ-იანი 4-ზოლიანი მაგისტრალური გზა (51 გვირაბითა და 97 ხიდით). ამ დროისათვის ტრანსპორტი უკვე ისარგებლებს ახალი 4-ზოლიანი გზის 48 კმ-ით (50 გვირაბითა და 91 ხიდით), რომელმაც 8 კმ-ით შეამცირა მგზავრობის მანძილი და გაანახევრა გადაადგილების დრო.**

## საქართველო კეთილდღეობის 12-წლიანი პროგრესით მსოფლიოში პირველ ადგილზეა!

**„ატლანტიკურმა საბჭომ" თავისუფლების და კეთილდღეობის 2025 წლის ინდექსები გამოაქვეყნა. თავისუფლების ინდექსით საქართველოს ზომიერი თავისუფლების, ხოლო კეთილდღეობის ინდექსით ზომიერი კეთილდღეობის მქონე ქვეყნის სტატუსი აქვს.**

ორგანიზაციამ საქართველო მსოფლიოს ხანგრძლივი პროგრესის მქონე ქვეყნებს შორის დაასახელა. კეთილდღეობის ინდექსის 12-წლიანი გაუმჯობესებით (2013-2024) საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა, ამასთან, საქართველოს კეთილდღეობის ინდექსში ისტორიული მაქსიმუმი დაუფიქსირდა – შეფასების 100%-იანი სისტემით 75,5%. გარდა ამისა, საქართველო „ძლიერი პოლიტიკური თავისუფლების მქონე მუდმივი დემოკრატიის" კატეგორიაში მოხვდა.




ორგანიზაციის შეფასებით დემოკრატიულად ითვლება ისეთი ქვეყნები რომელთა პოლიტიკური სუბინდექსის, ანუ პოლიტიკური თავისუფლების შეფასება 100%-იანი სისტემით 50%-ს აჭარბებს, ხოლო ავტოკრატიულად ფასდება ის სახელმწიფოები, რომელთა შეფასებაც 50%-ზე დაბალია. ქვეყნები, რომლებიც ხანგრძლივვადიან პერიოდში უწყვეტად ინარჩუნებენ პოლიტიკური სუბინდექსში 50%-ზე მაღალ შეფასებას, მუდმივ დემოკრატიებად სახელდებიან. ამასთან, გამოცემის თანახმად, ძლიერი პოლიტიკური თავისუფლების მქონე ქვეყნებად მიიჩნევა ის სახელმწიფოები და ტერიტორიები, სადაც პოლიტიკური თავისუფლების ინდექსი 75%-ზე მაღალია.

**პოლიტიკური თავისუფლების კატეგორიაში საქართველომ ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ისეთ წამყვან კრიტერიუმში, როგორიცაა „არჩევნები", სადაც შეფასების 100%-იანი სისტემით საქართველომ 82.4% დაიმსახურა, შემდეგ მოდის „სამოქალაქო თავისუფლებები" – 81.8%.**

გარდა ამისა, საქართველო უმცირესობების უფლებების დაცვის რეიტინგში მსოფლიოს 40 საუკეთესო ქვეყანას შორის მოხვდა და 39-ე ადგილზე გამწესდა, ხოლო ბიუროკრატიის სიჯანსაღის და კორუფციისგან თავისუფლების რეიტინგში მსოფლიოში 36-ე პოზიციაზე გავიდა და ევროპის საუკეთესო ოცეულში მოხვდა.

**ბიუროკრატიის სიჯანსაღით და კორუფციისგან თავისუფლებით საქართველო უსწრებს ევროკავშირის კანდიდატ ყველა ქვეყანას, ევროკავშირის და ნატოს წევრ 16 სახელმწიფოს: ლატვიას, ესპანეთს, იტალიას, კვიპროსს, პოლონეთს, ხორვატიას, სლოვაკეთს, მალტას, უნგრეთს, საბერძნეთს, მონტენეგროს, რუმინეთს, ბულგარეთს, ალბანეთს, ჩრდილოეთ მაკედონიას, თურქეთს.**

**რაც შეეხება კეთილდღეობის ინდექსს, მისი შეფასება ეფუძნება 6 საყრდენს: 1. შემოსავლების დონე 2. გარემოს დაცვა. 3. უმცირესობების უფლებების დაცულობა; 4. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა; 5. განათლება; 6. თანასწორობა.**

**კეთილდღეობის ინდექსის რეიტინგი მსოფლიოს 164 ქვეყანას და ტერიტორიას ყოფს 4 კატეგორიად: მაღალი კეთილდღეობა; ზომიერი კეთილდღეობა; კეთილდღეობის დაბალი დონე და კეთილდღეობის უდაბლესი დონე. საქართველომ ინდექსის მიხედვით „ზომიერი კეთილდღეობის" სტატუსი მიიღო, და მსოფლიოში 47-ე ადგილზე გავიდა. ორგანიზაციის განმარტებით „მაღალი კეთილდღეობის" სტატუსი ეძლევა ქვეყანას, რომელიც კეთილდღეობის რეიტინგში პირველიდან 41-ე პოზიციამდე დაიკავებს სარეიტინგო ადგილს. საქართველო წელს 47-ე ადგილზეა და მხოლოდ 6 ადგილით დაწინაურება სჭირდება „მაღალი კეთილდღეობის" სტატუსის მოსაპოვებლად. წელს საქართველო კეთილდღეობის რეიტინგში უსწრებს ყველა მეზობელ სახელმწიფოს, ევროკავშირის კანდიდატ ყველა ქვეყანას და ევროკავშირის და ნატოს წევრ 5 სახელმწიფოს: ბულგარეთს, თურქეთს, ალბანეთს, ჩრდილოეთ მაკედონიას და მონტენეგროს.**

თავისუფლების და კეთილდღეობის ინდექსებს „ატლანტიკური საბჭოს" თავისუფლების და კეთილდღეობის ცენტრი აწარმოებს და ძირითადად ეფუძნება მსოფლიო ბანკის გლობალური მმართველობის ინდიკატორების, გაეროს, ამერიკული ორგანიზაცია ჰერითიჯ ფაუნდეიშენის და ორგანიზაცია „დემოკრატიის მრავალფეროვნების" დეტალურ საერთაშორისო კვლევებს, მეცნიერულ ექსპერტიზას და აგრეგირებულ ინდექსებს.



## „ციცინათელას" პარკი განახლების შემდეგ გაიხსნა

**შეკვეთილში მდებარე ატრაქციონების პარკი „ციცინათელა" 2025 წლის სეზონისთვის განსაკუთრებულად მოემზადა. „Starring Georgia-ს" მიერ ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში, განახლდა არა მხოლოდ ტექნიკური ნაწილი, არამედ შეიცვალა „ციცინათელას" კონცეფციაც. ამიერიდან საქართველოს ყველაზე ჯადოსნურ გასართობ პარკში მისული ბავშვები ნამდვილ ზღაპარში იმოგზაურებენ და თავგადასავლებით სავსე დაუვიწყარ გამოცდილებას მიიღებენ.**

რაც შეეხება ტექნიკურ ნაწილს, **პარკში სრულად განახლდა და შეიღება გარე და შიდა ფასადები; განახლდა შემოსასვლელები და სალაროები; შეიცვალა ატრაქციონების დეტალები, სრული რესტავრაცია ჩაუტარდა რამდენიმე ატრაქციონს, შეიღება ატრაქციონების ჯებირები; განახლდა და ტენტით დაიხურა მოსაცდელი ზონები; განახლდა ატრაქციონების ოპერატორების ჯიხურები; სრულად აღდგა დინოზავრების პარკი; ახალი კონცეფციით, სრულად განახლდა კვების ობიექტები; კარტინგების ზონას დაემატა ახალი ტრიბუნა და ახალი მანქანები; პარკში დაირგო ახალი მცენარეები, რომლებმაც უფრო დიდი და მასშტაბური გამწვანება შექმნეს.**

„**Starring Georgia**-ს" მენეჯერის, **ციცი იაშვილის** თქმით, პროექტზე მაქსიმალურად დასაქმდა ადგილობრივი მოსახლეობა.

**„განსაკუთრებით მიხარია, რომ გამოჩნდნენ ახალი, ნიჭიერი ადამიანები, რომლებმაც საკუთარი ხელით საოცრად მოხატეს ჩვენი პარკი. გარემო, რომელიც მათ შექმნეს, უნიკალურია და სხვაგან ვერსად შეგხვდებათ. სწორედ ადგილობრივი კადრებით დავაკომპლექტეთ ციცინათელას გუნდიც, რომელმაც სპეციალური გადამზადება გაიარა. მუშაობის პროცესში ვცდილობდით, რომ გადაგვერჩინა და გადაგდების ნაცვლად, მეორადი გამოყენება მოგვეძებნა არსებული ნივთებისა თუ მასალებისთვის,"** – ამბობს „Starring Georgia-ს" მენეჯერი **ციცი იაშვილი.**

შეგახსენებთ, რომ 14.5 ჰექტარზე გადაჭიმული „ციცინათელა" 2006 წლიდან ფუნქციონირებს. მსგავსი მასშტაბის სამუშაოები პარკში აქამდე არასდროს ჩატარებულა. Starring Georgia კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

# 1700 წლის გადმოსახედიდან




## ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავთან დაკავშირებით შეიქმნა საქართველოს საპატრიარქოს კომისია, რომელსაც საიუბილეო წლის პროგრამის შემუშავება დაევალა

**ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების (326წ.) 1700 წელთან დაკავშირებით 1 ივლისიდან საქართველოს საპატრიარქოს კომისია შეიქმნება. შესაბამისი ბრძანება, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გამოსცა.**

**კომისიას ევალება, შეიმუშაოს საიუბილეო წლის პროგრამა.**

**„ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების (326წ.) 1700 წელთან დაკავშირებით ა.წ. 1 ივლისიდან შეიქმნას საქართველოს საპატრიარქოს კომისია შემდეგი შემადგენლობით:**

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი **შიო (მუჯირი)**,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი **თეოდორე (ჭუაძე)**; ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი **დანიელი (დათუაშვილი)**; ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი **ისაია (ჭანტურია)**; მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი **ანანია (ჯაფარიძე)**; ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი **იობი (აქიაშვილი)**; აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი **დავითი (მახარაძე)**; ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი (**ბერბიჭაშვილი**); ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი **ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)**; ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი **საბა (გიგიბერია)**; ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე **(შარაშენიძე)**; გორისა და ატენის მიტროპოლიტი **ანდრია (გვაზავა)**; ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი **იოანე (გამრეკელი)**; ბოდბელი მთავარეპისკოპოსი **იაკობი (იაკობიშვილი)**; ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი **ვახტანგი (ლიპარტელიანი)**; თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი **გიორგი ზვიადაძე**; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, **დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი**; საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი **ანდრია ჯაღმაიძე**.

**კომისიას ევალება, შეიმუშაოს საიუბილეო წლის პროგრამა“.**




## „მაჩაბლობა –2025“ წეროვანის დევნილთა დასახლებაში

# „ვანო მაჩაბელი – გზა ევროპისკენ!“

**28 ივნისი – ზაფხული ზეობს წეროვანის დევნილთა დასახლებაში... „ვანო მაჩაბელი – გზა ევროპისკენ!“ – იქვე, სკვერში, გამოჩენილი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და შექსპირის გენიალური მთარგმნელის ივანე მაჩაბლის ხატება-სურათი ამ ლამაზი წარწერით, მადლიერ საზოგადოებას სახალხო ზეიმზე მოუხმობდა.**

საგულისხმოა, რომ ასე ხალხმრავალი „მაჩაბლობა – 2025“ წელს პირველად გაიმართა, რომლის ფარგლებშიც საფუძველი ჩაეყარა ლიახვისპირელი საზოგადო მოღვაწის სახელობის სკვერის მოწყობას. შემდგომ კი აქ მისი ბიუსტი დაიდგმება. სახალხო ზეიმზე სიტყვით გამომსვლელებმა სასიქადულო მამულიშვილის ღვაწლზე ისაუბრეს. ითქვა, რომ მან თავისი კვალი დატოვა ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში და ქართული თეატრის სფეროში. ასევე, ხაზგასმით აღინიშნა ივანე მაჩაბლის მიზანსწრაფვა საქართველოს ევროპული გზის აღდგენაში.

**„მაჩაბლობა – 2025“-ის ფარგლებში მაჩაბლის ცნობილი საჭადრაკო პარტიები გათამაშდა; ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა წაიკითხეს შექსპირის ნაწარმოების მაჩაბლისეული თარგმნა-ნაწყვეტები: ლელა მახნიაშვილი – ლედი ანა („რიჩარდ მესამე“), ვაჟა ციცილოშვილი – ჰამლეტის მამის აჩრდილის მონოლოგი („ჰამლეტი“)...**

**ღონისძიებაზე გაჟღერდა ქართული ხალხური სიმღერები, რომლებიც წეროვანის ცხინვალიდან დევნილ ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლმა „ახალმა თაობამ,“ ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიურმა ანსამბლმა „ნართებმა“ ვაჟთა ვოკალურმა ჯგუფმა და ახალგორის მუნიციპალიტეტთან არსებულმა ანსამბლმა „ლომისმა“ შეასრულეს.**

„მაჩაბლობა – 2025“-ის შთამბეჭდავ ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **თამაზ ბესტაევი**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გიორგი ვოლსკი**, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის აპარატის უფროსი **შერმადინ შარია**, საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ხალხის ძალა“ თავმჯდომარე **დიმიტრი ხუნდაძე**, პარლამენტარები **გენრიეტა წიწავა, გენო პეტრიაშვილი**, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი **ზვიად** ზვიადაძე, მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებული **ალექსანდრე ზაგაშვილი**, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული **სიმონ გულედანი**, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი **დიმიტრი ზურაბიშვილი**, ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ოთარ ცოტნიაშვილი**, ქურთის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ზვიად მინდიაშვილი**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით თუთარაშვილი**, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი **გელა შერმადინი**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ბალაშვილი**, თიღვის მუნიციპალიტეტის გამგებელი **სპარტაკ პეტრიაშვილი**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **რევაზ ჭავჭავაძე**, ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის წარმომადგენელი **მამა რაჟდენი (გინტური)**, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ნაირა ბეპიევა**, პოეტი და დრამატურგი **მზია ხეთაგური**, ცხინვალის საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

სახალხო ზეიმის დასასრულ, ივანე მაჩაბლის სახელობის სკვერის და მისი ბიუსტის დადგმის ნიშნულის განთავსების ცერემონია გაიმართა.

**რობერტ ოდიკაძე**







## „შავლეგ შენი შავი ჩოხა“...

**30 ივნისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოიხსენიებს წმინდა მოწამე შალვა ახალციხელს.**

...წმინდა შალვა ახალციხელი გამორჩეული რაინდი და მეომარი იყო მეფე თამარის მხედრობაში. ერთგულების, სიმამაცისა და ვაჟკაცობისთვის დიდმა თამარ მეფემ იგი ახალციხის მთავრად დანიშნა. შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ მან ხალიფას დროშა წამოიღო ნიშნად ქრისტიანობის უძლეველობისა და ხახულის ღვთისმშობელს შესწირა სხვა უამრავ ნადავლთან ერთად.

თამარის ასულის, რუსუდანის მეფობის დროს ჯალალედინი შემოიჭრა საქართველოში უამრავი ლაშქრით, **რუსუდანმა ქუდზე კაცი იხმო და საომრად შეკრებილ მეომრებს (ქართველებს) მთავრად მოხუცებული ათაბაგი იოანე დაუდგინა.**

ძმები შალვა და იოანე ახალციხელები 6 000 მეომრით იბრძოდნენ 200 000 მტრის წინააღმდეგ სოფელ გარნისთან! ძმები ელოდნენ შველას, მაგრამ ამაოდ... ქართველი მანდატურთუხუცესი ტყვედ ჩაიგდო ჯალალედინმა. დიდხანს ცდილობდა იგი, უსჯულოებისაკენ მოედრიკა ზნესრული შალვა-რაინდი, მაგრამ, როცა ვერას გახდა, მისი წამებით მოკვდინება ბრძანა. წამების ჟამს შალვა სიხარულით ამბობდა: **„...დავითმინოთ შალვა სიკვდილი ქრისტესთვის, რომელიც ერთგზის წინ აუძს ყოველსა კაცსა“.**

სრულიად საქართველოს შეეწიოს დღევანდელი დღის წმინდანის მადლი!

**გიული ლიპარტია**

1840 წლის 21 ივნისს იმერეთის ოლქის სოფელ სხვიტორში დაიბადა დიდი მამულიშვილი, საქართველოს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, დიდი პოეტი, მწერალი, თერგდალეულების ერთ-ერთი ლიდერი აკაკი წერეთელი. ამდენად, წლეულს მისი დაბადებიდან 185 წელი შესრულდა, რამაც განსაკუთრებული, ამაღლებული ელფერი შესძინა პოეტის სახლ-მუზეუმის ეზოში გამართულ თავყრილობას, რისი მიზეზი პრემია „სხვიტორის“ ლაურეატთათვის ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გახლდათ.

ლიტერატურული პრემია „სხვიტორი“ ქალაქ საჩხერის მუნიციპალიტეტმა და აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმმა 2022 წელს დააარსეს და მას ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს. საპრემიო კონკურსი ოთხ ნომინაციაში – პროზაში, პოეზიაში, კრიტიკასა და ესეისტიკაში, ასევე საყმაწვილო ლიტერატურაში იმართება.

კონკურსი წლის დამდეგს ცხადდება, კომპეტენტური ჟიური კი გამარჯვებულებს ივნისისთვის ავლენს. გარდა ამისა, დაწესებულია აგრეთვე „აკაკის მედალიც“, რომელსაც მგოსნის სახლ-მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისთვის გაწეული მხარდაჭერისა და საგამომცემლო საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის ანიჭებენ. გასულ წლებში მისი მფლობელები გახდნენ ბატონები ბიძინა ივანიშვილი, პაატა კურტანიძე, ბორის ივანაშვილი და ელგუჯა ნოზაძე.




# „ახალი კაპადოკიელის“ მადლით ნასაზრდოები პრემიის ლაურეატები


გაგა დარბაიძე და ვახტანგ ვეფხვაძე

– დიდი პატივისცემით გვინდა მოგილოცოთ აკაკი წერეთლის დაბადებიდან 185 წლისთავი და გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიისა და პოეტის სახლ-მუზეუმის მიერ დაწესებული ლიტერატურული პრემიის მინიჭების საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობისთვის, – ამ სიტყვით მიმართა დამსწრეთ მუზეუმის საექსპოზიციო განყოფილების მთავარმა კურატორმა **ლეილა (ელისაბედ) ზაზახიძემ**, რომელთა შორის იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელები, სასულიერო პირები და თბილისიდან ჩასული სტუმრები.

**– დარწმუნებული ვარ, აკაკის უკვდავი სული ახლა აქ ტრიალებს და ლოცავს შეკრებილთ!** – დასძინა მან.

– დღეს, როგორც არასდროს გვჭირდება აკაკის შეგონება, – ეს გახლდათ სახლ-მუზეუმის დირექტორის **ცეზარ ლაშხის** მოკლე გამოსვლის მთავარი აზრი, რომელმაც სიტყვა გადასცა საკონკურსო ჟიურის თავმჯდომარეს, ჟურნალ „ცისკრის“ მთავარ რედაქტორს **ამირან გომართელს**:

**– მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ საქართველოში ყოველი წლის ყოველი დღე წმინდა გიორგისადმია მიძღვნილი, ხოლო მას შემდეგ, რაც დიდი აკაკი საქვეყნო ასპარეზზე გამოვიდა, სამას სამოცდახუთივე დღე ჩვენში მისი შეგონებებითაა გაჯერებული!** – თქვა მან.

შემდეგ გაიმართა პრემია „სხვიტორის“ ახალ ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალი.

**პოეზიის** ნომინაციაში „სხვიტორის“ ლაურეატი ლექსთა კრებულისთვის „ანგელოზების სიზმარი“, გახდა დიდებული პოეტი ქალი **მანანა ჩიტიშვილი**. მას აღიარება მიულოცა და სიგელი გადასცა საჩხერის მერმა **ლევან ივანაშვილმა**.

**– „სხვიტორი“ არ არის მარტო იმერეთის კურთხეული მხარის პრემია და ის არა რომელიმე ერთ პიროვნებას, არამედ ყველა იმ ადამიანს ეკუთვნის, რომელმაც ქვეყანას თუნდაც მცირედი სულიერი ღირებულება შეჰმატა, – აღნიშნა სამადლობელ სიტყვაში ქალბატონმა მანანა ჩიტიშვილმა. – აკი გამართლდა ილია ჭავჭავაძის სიტყვები, რომლებიც მან აკაკი წერეთელს უთხრა: თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, არც შენ გიწერია სიკვდილიო... ისიცაა სიმბოლური, რომ ეს თქმა დიდ ილიას თავადვე აუხდა!**

მანანა ჩიტიშვილმა დამსწრეთ ორი საკუთარი ლექსი წაუკითხა ახალი კრებულიდან.

**პროზის** ნომინაციაში პრემია „სხვიტორი“ მწერალ **ალექსანდრე კაკიაშვილს** გადასცა საჩხერის მერის მოადგილემ **ოთარ ომიაძემ**. ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი იმდენად აღელვებული იყო მისი ნაწარმოების ესოდენ მაღალი შეფასებით, რომ მხოლოდ უდიდესი მადლიერების გამოხატვით შემოიფარგლა.

შესანიშნავმა პოეტმა და პროზაიკოსმა **ვანო ჩხიკვაძემ**, რომელსაც ჯილდო ნომინაციაში **საყმაწვილო ლიტერატურა** საჩხერის საკრებულოს წევრმა **ერეკლე ჭიღლაძემ** გადასცა, თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეს მისი მეორე სტუმრობა იყო სხვიტორში, რაც განუზომლად ახარებდა.

**– ყოველ დილით, სახლიდან რომ გამოვდივარ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მყუდრო ბაღში ჩვენი სახელოვანი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის შექმნილ აკაკი წერეთლის დიდებულ ძეგლს ჩავუვლი ხოლმე, ამდენად ჩემი ყოველი დღე აკაკისთან შეხვედრით იწყება,** – თქვა ბატონმა **ვანომ**, შემდგომ კი დამსწრეთ საკუთარი ლექსი „გუგულიანი საათი სხვიტორში“ წაუკითხა.


ლევან ივანაშვილი და მანანა ჩიტიშვილი

იმის გამო, რომ ნომინაციაში კრიტიკა და ესეისტიკა წელს გამარჯვებული ჟიურის არ გამოუვლენია, ეს ნომინაცია საყმაწვილო ლიტერატურაში გადაიტანეს, ხოლო ლაურეატი წიგნისთვის „წვიმის წვეთი პაკი“ **აკაკი დაუშვილი** გახდა, რომელსაც ჯილდო საჩხერის მუნიციპალიტეტის ჰუმანიტარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **მარინა კაციტაძემ** გადასცა.

**– უზომოდ მოხარული ვარ პრემია „სხვიტორის“ ლაურეატის მაღალი წოდებით,** – თქვა თავის გამოსვლაში ბატონმა **დაუშვილმა**. **– აკაკი წერეთელი საერო სიყვარულის გამოხატვით უდიდეს სიხარულს სიცოცხლეშივე მოესწრო, რასაც თუნდაც 1912 წელს ვასილ ამაშუკელის მიერ გადაღებული პირველი ქართული დოკუმენტური ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ მოწმობს. ასევე მისი სიდიადის აღიარების უტყუარი დასტურია რუსთაველის პროსპექტზე, პირველი გიმნაზიის სკვერში ძეგლი, სადაც იგი ილიას გვერდით დგას: აბა, ილიასთან ერთად სხვა ვინმე განა შეიძლებოდა ყოფილიყო?!**


ერეკლე ჭიღლაძე და ვანო ჩხიკვაძე

**პრემია „სხვიტორი“ მომენიჭა საყმაწვილო ნაწარმოებისთვის, ამიტომ აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ მე-19 საუკუნეში საქართველოში ამ სფეროში აკაკიზე მეტი არავის გაუკეთებია, ისევე როგორც ფასდაუდებელია მისი ღვაწლი „დედაენის“ პოპულარიზაციაში.**

**„სხვიტორი“ ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ მეტად პერსპექტიული და უკვე დიდად პოპულარული პრემიაა, რასაც მისი ახალი ლაურეატების ცნობადი სახეებიც მოწმობს.**

**ბედნიერია ის ერი, რომელსაც აკაკისნაირი შემოქმედი ჰყავს!**

ზუსტად ერთი თვის წინ, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში „სხვიტორში აკაკი წერეთლის პოეტურ ვარსკვლავებს ღამით ხელითაც შეეხებით...“, ჩვენს ერთგულ მკითხველს გავაცანით აკაკის სახლ-მუზეუმში ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის, ბატონი **ვახტანგ ვეფხვაძის** თანადგომით დასტამბული წიგნის „აკაკი წერეთლის“ საჩუქრად საზეიმოდ გადაცემის ამბავი. ამის პასუხად, მადლიერმა საჩხერელებმა ბატონი ვახტანგ ვეფხვაძე აკაკი წერეთლის მედლით დააჯილდოვეს, რომელიც მას ქალაქ საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარემ **გაგა დარბაიძემ** გადასცა.

**– დიდი პატივისცემით მივესალმები საჩხერის მუნიციპალიტეტის, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელობას, სასულიერო პირებსა და დამსწრე საზოგადოებას! მე ამ კუთხის შვილი ვარ – დედაჩემი თავის ცხრა და-ძმით აქედან ექვს კილომეტრში, სოფელ ჭალაში დაიბადა და გაიზარდა, სადაც ყოველ ზაფხულს ვატარებდი ხოლმე, – თქვა ბატონმა ვახტანგ ვეფხვაძემ. – დიდად ვღელავ, რადგან არ მეგონა, რომ ჩემი მოკრძალებული ღვაწლი ასე დაფასდებოდა!**

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ბატონ ვახტანგ ვეფხვაძეს თანადგომით დასტამბული წიგნი „აკაკი წერეთელი“ „სხვიტორის“ ყველა ლაურეატს გადაეცა საჩუქრად.

აკაკი წერეთლის მედალი გაწეული საქველმოქმედო საქმიანობისთვის მეწარმე **თენგიზ პაპანაძეს** გადასცა საჩხერის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხეიძემ**.

პრემია „სხვიტორის“ პრემიის ახალ ლაურეატებს, აკაკის მედლის კავალრებსა და სახლ-მუზეუმის კოპწია ეზოში საზეიმო შეკრების მონაწილეთ მიესალმა და დალოცა ჭიათურა-საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტმა **მეუფე დანიელმა**, რომელმაც, კერძოდ თქვა:

**– მუდამ, როცა კი საქართველოს გაჭირვების ჟამი დაუდგებოდა, უფალი მას ყოველთვის გამოუჩენდა ვინმე განსაკუთრებულ პირს და როცა მე-19 საუკუნეში ქვეყანას მძიმე განსაცდელი დაუდგა, სულიერი დაკნინების უდიდესი საფრთხე დაემუქრა, მაშინ გამოუჩინა მამაზეციერმა ქვეყანას ილია და აკაკი. ისინი აღვიძებდნენ ერს, შემოაბრუნეს სულიერი სიკვდილის ვექტორი და ხალხი აღორძინების გზაზე დააყენეს! მათ გაუცოცხლეს სრულიად საქართველოს იმედი ნათელი მომავლისა, მათ ჩაუყარეს საფუძველი ქვეყანაში მე-20 საუკუნეს და როცა წნეხი აუტანლად ძლიერი იყო, რწმენის შესანარჩუნებლად დღენიადაგ დამაშვრალნი იყვნენ!**

**დღეს უფრო მძიმე განსაცდელი გვაწევს გაუთვითცნობიერებელი დამოუკიდებლობისა, რადგან ბევრმა ზურგი შეაქცია სულიერ სისპეტაკეს. და ამ 47 წლის წინათაც, როცა უფალმა სულიერ წინამძღოლად ერს სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II მოუვლინა, მძიმე ტვირთის ზიდვა მან არა მარტო როგორც ილიამ, არამედ როგორც აკაკიმაც იკისრა.**

**აკაკი წერეთლის პოეზია არა მარტო მისი ლექსების, არამედ ქრისტიანული სულის ზეობაა. ზოგიერთნი მას „ახალ კაპადოკიელსაც“ უწოდებდნენ, რომელმაც დიდი ქრისტიანული სული შემოგვირჩინა. ჩვენს დიდ ბუმბერაზებს მთელი საქართველო უნდა იზეპირებდეს, რათა ის სულიერი ძალები შემოგვრჩეს, რომელსაც ასე გააფთრებით ებრძვიან დღეს ბნელი ძალები.**

**იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში ასეც იქნება. პრემია „სხვიტორის“ დაფუძნება საოცარი, დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა ერის ცხოვრებაში – ეს იმას ნიშნავს, რომ აკაკის სული ახლაც მიუძღვება ერს სიკეთის გზაზე!**

**ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ აკაკის სახლ-მუზეუმის დირექტორი, ბატონი ცეზარ ლაშხი წმინდა სინოდში შევიდა წინადადებით, რომ აკაკი წერეთელიც, ილია ჭავჭავაძესავით, დედაეკლესიას წმინდანად ეღიარებინა, მაგრამ საზოგადოების მცირე ნაწილი წინ აღუდგა ამ დიდებულ იდეას და საკითხი ჯერაც გადაუჭრელია!**

თავყრილობის დასასრულ კი ითქვა, რომ აკაკი წერეთლის დაბადებიდან 185 წლისთავს საჩხერეში მალე განსაკუთრებული მასშტაბით აღნიშნავენ.

**ოთარ ტურაბელიძე,**
**საჩხერე-თბილისი.**



ამრიგად, „მეგრელ ნაციონალისტთა“ საქმის ძიება შეწყდა და ოცდაჩვიდმეტივე პატიმარი სასწრაფოდ გაათავისუფლეს.

ამბობენ, მათთან ლეფორტოვოში თვით ლავრენტი მივიდა და პატიმრებს მიესალმა: „გამარჯობათ, თქვა ცოდეფი, შური ქოიდგუნანო, საწყალეფი?“ (გამარჯობათ, თქვე საცოდავებო, სული გიდგიათ, საწყლებო?)

ვერ გეტყვით, რამდენად ზუსტია მისალმების ეს ტექსტი ან, საერთოდ, მართლა მიაკითხა თუ არა მოსკოვის „შინაგან ციხეში“ მათ ლავრენტიმ, მაგრამ იმ პერიოდის ფოლკლორი დაჟინებით ირწმუნება, ნამდვილად ასე იყოო (ან, რატომ არ შეიძლება ასეც მომხდარიყო?).

დაკვირვებული მკითხველი შენიშნავდა, რომ თავის ახლობელ ადამიანებს – ავქსენტი რაფავას და გრიგოლ ჩაჩიბაიას ლავრენტიმ კითხვა კი არ დაუსვა, ვის თვლი შენი უბედურების მიზეზადო, არამედ პირდაპირ, სარკასტულად მიუთითა სტალინზე.

„მეგრელი ნაციონალისტების“ ადგილი ლეფორტოვოში ვ. ცეპკოვმა და მისმა ბიჭებმა დაიკავეს. იქვე დარჩა ნ. რუხაძეც, რომელიც ცრემლიანი წერილებით ბომბავდა ლ. ბერიას და პატიებას სთხოვდა.

ასეა, დრონი მეფობენ და არა მეფენი!

ვანელი მუშაკები, არასდროს არსად არ განხილულა, დამნაშავედ შერაცხულთათვის არაფერი უკითხავთ, არ არსებობს წაყენებული მძიმე ბრალდებების დამადასტურებელი დოკუმენტები, სტალინი შეაცდინესო. გ. მალენკოვმა მთავარ დამნაშავეებად დაასახელა ა. მგელაძე და ნ. რუხაძე და ა. მგელაძის მკაცრად დასჯა მოითხოვა. ასევე გამოვიდა ნ. ხრუშჩოვიც.

ვ. მოლოტოვმა მხარი დაუჭირა გ. მალენკოვს და ნ. ხრუშჩოვს, მ. ბარამია სოფლის მეურნეობის კარგი მცოდნეაო.

მიიღეს სინამდვილის ამსხველი და დამადასტურებელი სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის 10 აპრილის დადგენილება, ა. მგელაძე მოიხსნა თანამდებობიდან. ამ ადგილზე ჩემი კანდიდატურა წამოაყენეს.

ტის (იგი კურირებდა წარმოებას სსრკ სარეჟიმო დაწესებულებებში – ციხეებსა და კოლონიებში), ძალზე სერიოზული და განათლებული ადამიანის მიერ განდობილი, რომ მას **„1980-იან წლებში ვლადიმირის ციხის ტერიტორიაზე უჩვენეს ადგილი, სადაც 1953 წლის 29 ივნისს საბჭოთა არმიის ორი პოლკოვნიკის თანდასწრებით ჩამარხეს საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი პავლეს ძე ბერია“.**

არსებობს მეორე ვერსიაც, რომელიც ძალიან ჰგავს პირველს: ქალაქ ვლადიმირის ციხის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა კოზიკმა სიკვდილის წინ აღიარა, რომ 1953 წელს იგი პოლკოვნიკმა კალისტრატოვმა დაიბარა და აუწყა, საიდუმლო სამთავრობო დავალება უნდა შევასრულოთ, კერძოდ, ერთ-ერთი დამნაშავის ცხედარი სადმე მიყრუებულ ადგილას დავმარხოთო. დამნაშავის ვინაობა კოზიკისთვის არავის უთქვამს, მაგრამ მან თვალი მოჰკრა ბრეზენტში გახვეულ ცხედარს, რომელიც მოშორებულ უკაცრიელ ადგილას ჩაფლეს. ამის შემდეგ კალისტრატოვმა არყით სავსე მათარით შესანდობარი თქვა და სხვებსაც დაალევინა. თან ყველანი გააფრთხილა, საიდუმლო არავისთვის გაემხილათ. კოზიკი ვარაუდობდა, რომ ბრეზენტში ბერიას ცხედარი იყო გახვეული. ისე, ლავრენტის ვაჟი სერგო წერს, რომ 1953 წლის 26 ივნისს კაჩალოვის ქუჩაზე, საკუთარ ბინაში მოკვლის შემდეგ, მამამისის ცხედარი სახლიდან სწორედ ბრეზენტში გახვეული გაიტანეს...

ყოვლისშემძლე ლავრენტი დაამხეს და თუკი რამ საბჭოთა ხელისუფლებას ცოდვა ჰქონდა, სულ მას მიაწერეს. „მეგრელთა საქმეც“ კი შემოუბრუნეს.

სკკპ ცკ-ის 1953 წ. ივლისის ცნობილ პლენუმზე ნ. ხრუშჩოვმა პირდაპირ განაცხადა, რომ „ყალბია მეგრელთა საქმე საქართველოში“, შემდეგ კი ესეც ახსენა – „სამარცხვინო ქართული საქმე. ყველაზე „რელიეფური“ იყო შეიარაღებულ ძალთა (თავდაცვის) მინისტრის ნიკოლოზ ბულგანინის გამოსვლა:

**„არ შეიძლება, ეროვნულ საკითხზე ლაპარაკისას გვერდი აუარო საქართველოს საკითხს. თქვენ მასალები წაკითხული გაქვთ. ამ გაიძვერამ (ბერიამ – ა. ა.) საქართველოს მიმართებაში თავის თავზე აიღო მონოპოლიური უფლებამ ერთპიროვნულად გადაეწყვიტა საქართველოს ყველა საკითხი. გამოვთქვამ ცკ-ის პრეზიდიუმის საერთო**

## ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

### ხუხულის დანგრევა

**საბოლოო სიტყვაში ავქსენტის თავის მართლება არ დაუწყია. მე, უბრალოდ, ქვეყნის ხელისუფლების შეცვლის მსხვერპლი ვარ, მხოლოდ იმას ვნანობ, ამ არამზადა რუხაძესთან ერთად რომ მასამართლებთო.**

ამ ამბის გაგრძელებად რაფავების გვარის თავკაცმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მერაბ რაფავამ მიამბო:

თავის დროზე „მეგრელთა საქმეზე“ დაპატიმრებულმა შოთა ჯგუშიამ (მაშინ 37 „მთავარ დამნაშავესთან“ ერთად უამრავი „წვრილფეხა“ მეგრელიც მოხვეტეს სხვადასხვა ბრალდებით – **ა. ა.**) 1980-იან წლებში სოხუმში გამაცნო პოლკოვნიკი კაკუევი, პენსიაში გასვლამდე აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსანი. იგი დიდ სამამულო ომამდე იმ ლაბორატორიის დაცვის უფროსი ყოფილა, სადაც ავქსენტი რაფავას ძმა ნიკოლოზი, რომელიც შემდეგ გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს, ხელყუმბარების გამოგონებაზე მუშაობდა. თურმე ნიკოლოზის მიერ შექმნილი ორი ტიპის ხელყუმბარა **РГР-1** და **РГР-2 (ручная граната Рапава)** სერიულად გამოვიდა კიდეც, ოღონდ მისი შემქმნელის ტყვედ ჩავარდნის შემდეგ ბოლო **Р (Рапава)** მოაცილეს და მხოლოდ **РГ (ручная граната)** დაუტოვეს. სხვათა შორის, კაკუევმა მაშინდლიდან სამახსოვროდ შემორჩენილი ლაბორატორიის დაცვის დამტკიცებული სქემაც მაჩვენა.

აი, ამ პოლკოვნიკმა კაკუევმა მიამბო უშიშროების მაღალი წრეებიდან გამოჟონილი ამბავი, რომ სიკვდილმისჯილი ნ. რუხაძე გულის შეტევით კი არ მომკვდარა თბილისიდან მოსკოვში მატარებლით ეტაპირებისას, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, არამედ „სტოლიპინის ვაგონში“ (ჟარგონულად ასე ერქვა პატიმართა გადასაყვან ვაგონს) დაახრჩო მასთან ერთად მჯდომმა ავქ. რაფავამ, სადღაც როსტოვთან. გვამი სადგურ აქსაიში ჩამოიღეს მატარებლიდან. რაკი რუხაძეცა და რაფავაც მოსკოვში მაინც დასახვრეტად მიჰყავდათ, ეს ამბავი აღარ გაახმაურეს და ბუნებრივ სიკვდილად გააფორმესო.

ახლა კვლავ მთავარ სათქმელს მივყვეთ.

**გაგრძელება.**
**დასაწყისი იხილეთ**
**„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68, 71-72, 74-86, 88-89, 90**



**გ. მალენკოვი და ნ. ხრუშჩოვი**

ტომ არ შეიძლება ასეც მომხდარიყო?). გრიგოლ ჩაჩიბაიას ქალიშვილმა, ქალბატონმა გულნარამ მიამბო, მამაჩემი იხსენებდა, თბილისიდან მოსკოვში ეტაპირებული რამდენიმე პატიმარი ბერიასთან მიგვიყვანესო. ამასვე ადასტურებს მამანტი პაჭკორია: გრიშა ჩაჩიბაიამ მითხრა, რომ ბერიამ თავის კაბინეტში მიიღო რამდენიმე პატიმარი, 7-8 კაცი: ბარამია, ჩაჩიბაია, კარანაძე, ბეჭვაია და ესაუბრა მათ თავისი მოადგილეების თანდასწრებით. იქნებ მაშინ მიესალმა ლავრენტი გაუბედურებულ თანამემამულეებს მეგრულად, თუ საერთოდ მოხდა პატიმრების ასეთი ჯგუფური წარდგენა სსრკ შინგან საქმეთა მინისტრთან?

ფ. ბლაგოვეშჩენსკი კი თავის ნარკვევში „სტუმრად ნ. ა. შარიასთან“ ასეთ ვარიანტს გვთავაზობს:

„1953 წლის მარტში ბერია პირადად წავიდა ლუბიანკაზე (**? – ა.ა.**) მეგრელების გასათავისუფლებლად. როცა ყველა ერთად შეიკრიბა, ბერიამ სიცილით გაახსენა შარიას, „იმან ჩაგსვა, ვისზეც წერდი, ყველა დროის და ხალხის უდიდესი გენიააო“.

უფრო სარწმუნო ავქსენტი რაფავას და მამია ზოდელავას მოწმობაა მასთან თითო-თითოდ შეხვედრაზე, ისიც განთავისუფლების შემდეგ.

**ბატონმა მამიამ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 2004 წლის გაზაფხულზე, მიამბო: „ლეფორტოვიდან ბერიას კაბინეტში მიმიყვანეს. ეს ძალზე ხანმოკლე შეხვედრა იყო. ლავრენტიმ დაკვირვებით შემომხედა, ერთხანს ასე ჩუმად მიყურა, შემდეგ მკითხა: როგორ ფიქრობთ, ვინ იყო დაინტერესებული თქვენი დაპატიმრებით? აკაკი მგელაძე და ნიკოლოზ რუხაძე! – ვუპასუხე უყოყმანოდ. აშკარა იყო მან ეს ისედაც იცოდა, უბრალოდ, თავისი დასკვნის დადასტურება მიიღო. მეტი არაფერი უკითხავს“.**

### ფარსი

**ყოფილი „მეგრელი ნაციონალისტების“ ნაწილი სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის 10 აპრილის დადგენილებამდე გაათავისუფლეს.**

წინადღით, 9 აპრილს, კრემლში საინტერესო შეხვედრა შედგა. საკნიდან ლამის ის-ის იყო გამოსული ალიოშა მირცხულავა მალენკოვმა და ნიკიტა ხრუშჩოვმა იხმეს და...საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად მუშაობა შესთავაზეს.

– მორიდებულად, მაგრამ გულწრფელად ვიუარე, საქართველოში ძალზე რთული ვითარებაა და გამიჭირდება-მეთქი,–გვიამბობს ბატონი ალიოშა,–ყოველმხრივ დახმარებას დამპირდნენ, პრეზიდიუმის სხდომაზე მოხვალ და იქ გადავწყვიტოთო.

მალენკოვის კაბინეტიდან ბერიასთან შევედი, მისი კაბინეტი იქვე ახლოს იყო და მასაც ვთხოვე, არ გავეშვით ამ თანამდებობაზე. არც ბერიამ მიიღო ჩემი უარი, ამაზე უკვე მოლაპარაკებული ვართო და დარიგება დამიწყო, როგორ მოვქცეულიყავი: ყველა რეაბილიტირებულს ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობები შეუქმენით, თავიანთ ბინებში დააბრუნეთ, რაც წართმეული აქვთ, უკლებლივ ყველაფერი დაუბრუნეთ. ბევრი საკითხია გასარკვევი, თუ როგორ მოხდა ეს უბედურება. ყველა მოვლენა ძირფესვიანად შეისწავლეთ, ერიდეთ სამაგიეროს გადახდასო.

მეორე დღეს, 10 აპრილს, სკკპ ცკ პრეზიდიუმის სხდომა შედგა, რომელიც გ. მალენკოვს მიჰყავდა. მან თქვა, რომ ეს დადგენილება (ხელში ეკავა სტალინის ხელმოწერილი დადგენილება), რომლითაც შეურაცხყოფილია ქართველი ხალხი და უდანაშაულოდ რეპრესირებული არიან რესპუბლიკის თვალსაჩინო ხელმძღ-

პრეზიდიუმის სხდომის დამთავრების შემდეგ გ. მალენკოვი და ლ. ბერია ხანგრძლივად და გულთბილად მესაუბრებოდნენ. გადმომცეს დადგენილებები: უდანაშაულოდ რეპრესირებულთა შესახებ, გადასახლებულთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ, თბილისისა და ქუთაისის ოლქების გაუქმების შესახებ, მირჩიეს, თუ როგორ გაგვეხორციელებინა ეს დადგენილებები. ცენტრალური კომიტეტიდან არავის გამოვგზავნით, თქვენ თვითონ გენდობითო. ამასთან, ხაზგასმით მთხოვეს, გონიერება გამოიჩინეთ და შურისძიება არამც არამც არ დაუშვათო. მეც, სწორედ ასე ვიყავი განწყობილი.

რეპრესირებულთა და გადასახლებულთა სამშობლოში დაბრუნება ერთმანეთს დაემთხვა. ხალხი აღფრთოვანებით ხვდებოდა მათ რკინიგზის სადგურებზე, განსაკუთრებით თბილისში, ზეიმები იმართებოდა.

შინ დაბრუნებულებმა, მძიმე განსაცდელის, გაჭირვებისა და შეურაცხყოფის გადატანის მიუხედავად, სულგრძელობა, წესიერების უმაღლესი გრძნობა გამოიჩინეს და რეპრესიებითვე სამაგიეროს გადახდა არ მოუთხოვიათ.



**ვ. ბაქრაძე**



**ზ. კეცხოველი**

სამაგიეროდ კრემლში წარიმართა საქმე უკუღმა. 1953 წ. 26 ივნისს ლავრენტი ბერია დააპატიმრეს, გაასამართლეს და 1953 წლის 23 დეკემბერს დახვრიტეს.

თუმცა, არის დაბეჯითებული ხმები, რომ იგი დაპატიმრებისთანავე ან დაპატიმრებიდან რამდენიმე დღეში მოკლეს და სასამართლო უბრალოდ ფარსი იყო. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ცნობილმა ეკონომისტმა იოსებ არჩვაძემ მიამბო 1990 წლის ნოემბერში სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მთავარი სპეციალის-

**აზრს: მან ეს საქმე ისე აურდაურია, რომ სერიოზულად დაგვჭირდება გარკვევა, თუ რა ხდება დღეს საქართველოში...**

**ამხანაგებო, არის ლაპარაკი ბერიას თითქმის დადებით როლზე ექიმების განთავისუფლების („ექიმთა საქმე“ – ა. ა.), „საქართველოს საქმის“ ლიკვიდაციაში. აქაც უნდა ვამხილოთ ის. არავითარი მისი დადებითი როლი აქ არ არის. პირიქით, ყველაფერი ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ პოპულარობა მოეპოვებინა (? – ა. ა.).**

**სინამდვილეში როგორ იყო საქმე? უნდა გითხრათ, რომ ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში ჩვენ, ცკ-ის პრეზიდიუმის წევრები ერთმანეთში ვლაპარაკობდით, რომ ექიმთა საქმე ყალბია, რომ ქართული საქმე ყალბია...ბერიამ იცოდა ამ ლაპარაკების შესახებ. გეკითხებით, რაღა დარჩენოდა მას სტალინის სიკვდილის შემდეგ, როცა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა? რა თქმა უნდა, მას ამ საქმეებისათვის ბოლო უნდა მოეღო და ეს საქმეები დასრულდა არა იმის გამო, რომ პირადად მან რაიმე დადებითი როლი შეასრულა, არამედ იმიტომ, რომ გარემოებამ აიძულა. მან იცოდა ცეკას აზრი, ცეკას პრეზიდიუმის წევრთა აზრი ამ საკითხებზე“.**

ხრუშჩოვს, ბულგანინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს და სხვებს „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის“ გამო ბერიას გაშავებაში მხარი აუბეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ვალერიან ბაქრაძემ,** მისმა პირველმა მოადგილემ **ზაქარია კეცხოველმა.**

**– ის, რომ ბერია ყოველთვის პირადი კარიერისტული მოსაზრებიდან გამომდინარე მოქმედებდა, სხვათა შორის, ჩანს მისი მუხანათური ქმედებებით ე. წ. მეგრელ ნაციონალისტთა პროვოკაციულ საქმესთან დაკავშირებით. ბერიამ თავიდანვე ყველაზე უკეთ იცოდა, რომ პროვოკაცია იყო, იცოდა, ვინ და როგორ ქმნიდა პროვოკაციულ მასალებს პატიოსან ადამიანებზე, თვითონ გამოზარდა პროვოკატორები – მგელაძე და რუხაძე, იცოდა, რომ აწამებდნენ პატიოსან მუშაკებს, მაგრამ უკანასკნელ მომენტამდე, სანამ ეს მისთვის მომგებიანი არ გახდა, არაფერი უთქვამს მასზე. პირიქით, ცეცხლზე ნავთს ასხამდა, რაც ჩანს თუნდაც მისი გამოსვლიდან საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმზე 1952 წლის აპრილში. ამხ. სტალინის სიცოცხლეში ბერიამ არაფერი გააკეთა ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმეში სინათლის შესატანად და მხოლოდ ამხანაგ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში ჩაუდგა, ამოათრია ეს საქმე იაფი ავტორიტეტის მოსახვეჭად, – თქვა ვ. ბაქრაძემ.**

როგორც ვხედავთ, მან სიტყვასიტყვით გაიმეორა ბულგანინის პირდაპირ სასაცილო „არგუმენტაცია“. მაგრამ იგი ამაზე არ შეჩერებულა.

**– ბერიამ ამ საქმეშიც აამღვრია წყალი, რადგან ხელაღებით ყველა დაპატიმრებულის რეაბილიტაცია მოხდა, რის შემდეგაც განთავისუფლებული აღმოჩნდნენ ისეთი გაიძვერები, როგორიც არის შარია. იგი ციხიდან სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის 10 პრილის დადგენილებამდე ბევრად ადრე, მარტის შუა რიცხვებში გამოუშვეს, რადგან შარია ბერიას „ანდერძის აღმსრულებელია“. ამას გარდა, იყვნენ ცალკეული ადამიანები, რომლებსაც სერიოზული სამეურნეო და ყოფითი დანაშაულებანი ჰქონდათ. ამისთვის ისინი რაღაც ხარისხით აუცილებლად უნდა დასჯილიყვნენ, სინამდვილეში კი ყველა ხელაღებით გაამართლეს და ახლა ისინი თავაღერილნი დადიან, როგორც ყველა ცოდვამიტევებულნი და დიდ პოსტებს ითხოვენ. ისე რომ, ცალკეულ პიროვნებებში დამატებით უნდა გავერკვეთ.**

შემდეგ ვ. ბაქრაძემ კიდევ ერთი ნიუანსი გააცნო პლენუმს.

სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის 10 აპრილის დადგენილება ამ დოკუმენტის საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმისთვის გაცნობას ითვალისწინებდა. ლ. ბერიას ვ. ბაქრაძისთვის დაურეკავს და უკითხავს, როგორ აპირებ პლენუმისთვის ამ დადგენილების მოხსენებასო. დადგენილების ტექსტს წავიკითხავო, უპასუხა ვ. ბაქრაძემ. არა, – უთხრა ლავრენტიმ, – წაიკითხე ყველაფერი თავიდან ბოლომდე, წერტილიდან წერტილამდე.

საქმე ის არის, რომ პრეზიდიუმის დადგენილებას ერთვოდა ლ. ბერიას მოხსენებითი ბარათი და სპეციალური კომისიის ოქმი, რომლის წაკითხვასაც საჭიროდ არ მიიჩნევდა ვ. ბაქრაძე. ლავრენტის კი სურდა, მსმენლთათვის ნათელი გამხდარიყო მისი დამსახურება მეგრელთა საქმის და გადასახლებულთა საქმის ლიკვიდაციაში. ვ. ბაქრაძეს მაინც არ წაუკითხავს დამატებები. ეს ლ. ბერიამ შეიტყო და ტელეფონით გალანძღა, უყვირა, შენ არასწორად ჩაატარე პლენუმი, არაფერი არ გესმის, მეკონსერვე ხარ და არა პოლიტიკოსიო (ვ. ბაქრაძე ერთხანს საქართველოს კვების მრეწველობის მინისტრად მუშაობდა- ა. ა.). გვინდოდა პრეზიდიუმის დადგენილების განხილვა ცეკას და საოლქო კომიტეტების პლენუმებზე დაგვესრულებინა და შემდგომ საყოველთაო სჯა-ბაასში აღარ გადავჭრილიყავით, რადგან საკითხი ნათელი იყო, მაგრამ ბერიამ გვაიძულა ფართო კამპანია გაგვეშალა და ამ საქმეში ყველა კომუნისტი ჩაგვება. თვენახევრის განმავლობაში მთელი აქტივი ამ საქმით იყო დაკავებული და კინაღამ საგაზაფხულო სამუშაოები ჩავაგდეთო, თქვა დასასრულ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ.

სრულიად გასაგებია ვალერიან ბაქრაძის მონდომება, პლენუმს ლ. ბერიას შესახებ რაიმე მაკომპრომეტირებელი მიაწოდოს (ლავრენტის თანამემამულისაგან თქმული განსაკუთრებით ფასეულია), მაგრამ ბულგანინის ყოვლად უსუსური „არგუმენტებისა“ არ იყოს, ვ. ბაქრაძის ეს ბოლო „სამხილიც“ არ გამოდგება „ხალხის მტრისა და იმპერიალიზმის დაქირავებული ჯაშუშის“ ჩასაქოლად. ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ანტისაბჭოთა და ანტიიმპერიალისტური ჯგუფის შესახებ სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილების მხოლოდ ცეკას და საოლქო კომიტეტების პლენუმებზე განხილვა საქმეს ნამდვილად არ წაადგებოდა. 1951 წლის 9 ნოემბრის უღვთო დადგენილებას იმდენი უბედურება, ადამიანური ტრაგედია, ავი მითქმა-მოთქმა და დაპირისპირება მოჰყვა, რომ ახლა მისი გამაბათილებელი დოკუმენტის საზოგადოებრიობისათვის ფართოდ და საფუძვლიანად გაცნობა დიახაც საჭირო და აუცილებელი იყო. ის შეიძლება ჰაიჰარად სხვაგან, სადმე შორს, ყირგიზეთში ან ლატვიაში განეხილათ, მაგრამ არამც და არამც საქართველოში.

ასე რომ, შეიძლება გაიგო ვ. ბაქრაძის მონდომება, მაგრამ არა მის მიერ მოყვანილი მაგალითის სიბრძნე...

**(გაგრძელება იქნება)**



# რატომ დაბრუნდა მოსკოვის მეტროში სტალინი?!

კანადის გაზეთ **„ეიჟა თაიმსში“ (Asia Times)** გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„რატომ დაბრუნდა მოსკოვის მეტროში იოსებ სტალინი?“** (ავტორი – **ჯერემი ჰიქსი,** ლონდონის უნივერსიტეტის პოსტსაბჭოთა ისტორიის პროფესორი), რომელშიც განხილულია რუსეთში საბჭოთა ეპოქის დროინდელი ხელმძღვანელის იოსებ სტალინის როლის გადაფასებასთან დაკავშირებული პროცესი. ავტორი ცდილობს, პასუხი გასცეს კითხვას: რატომ იდგმება რუსეთში ისევ კომუნისტი ბელადის ძეგლები?

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:** ASIA TIMES

**მაისში მოსკოვის მეტროპოლიტენის სადგურ „ტაგანსკაიაზე“ ხელახლა გაიხსნა საბჭოთა დიქტატორის იოსებ სტალინის ბარელიეფი, რომლის დემონტაჟი ჯერ კიდევ ათეულობით წლის წინ მოახდინეს. ეს პირველი მსგავსი ძეგლია მოსკოვის ცენტრში მისი სიკვდილის შემდეგ – 1953 წლიდან, რომელიც რუსული ავტორიტარიზმის შემაშფოთებელ აღორძინებაზე მიანიშნებს.**

იოსებ სტალინის პოლიტიკა 1924 წლიდან მის სიკვდილამდე მილიონობით ადამიანის სიკვდილს უკავშირდება. კომუნისტმა ბელადმა იძულებით გაატარა კოლექტივიზაცია სოფლებში, ჩამოაყალიბა შრომითი ბანაკების სისტემა „გულაგის“ სახელწოდებით და მოაწყო „დიდი ტერორი“ – მასობრივი რეპრესიების ტალღა 1936-1938 წლებში, რომლის დროსაც არმიის საკვანძო სამხედრო ხელმძღვანელები დაპატიმრდნენ ან ფიზიკურად განადგურდნენ.

მაგრამ დღევანდელი რუსეთის მმართველების თვალში იოსებ სტალინის საბოლოო გამარჯვება ნაცისტურ გერმანიაზე 1945 წელს, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის დახმარებით, ბელადის მიერ ჩადენილი ცოდვებისა და შეცდომების ერთგვარ გამოსყიდვას ნიშნავს. პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისათვის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება იქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე მთავარ მიღწევად და თანამედროვე რუსეთის გამაერთიანებელ ფაქტორად.

1956-1960 წლებში განხორციელებული დესტალინიზაციის პოლიტიკის შედეგად, რომელიც სტალინის პოლიტიკური კურსის უარყოფაში და პიროვნების კულტის მხილებაში გამოიხატა, მისი სიკვდილის დროიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ბელადის ძეგლებს აღარ დგამდნენ. მაგრამ მას შემდეგ (ბოლო მონაცემებით, 2023 წლამდე) რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში უკვე დაიდგა 110 ძეგლი, თანაც 95 – ვლადიმერ პუტინის მმართველობის ეპოქაში. ბელადის ძეგლების მშენებლობის ტემპები განსაკუთრებით გაიზარდა 2014 წლიდან, რუსეთის მიერ ყირიმის მიერთების შემდეგ.

თავდაპირველად ძეგლები იდგმებოდა რუსეთის ფედერაციის პერიფერიებში – ისეთ რესპუბლიკებში, როგორიცაა იაკუტია-სახა, ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიაში და დაღესტანში. მეგაპოლისებში ძეგლების დადგმას ერიდებოდნენ, მაგრამ ამ მხრივ ცენტრიდან ნებართვის მანიშნებელი მომენტი გახდა პრეზიდენტის 2025 წლის აპრილის ბრძანებულება ვოლგოგრადის აეროპორტის დასახელების შეცვლის თაობაზე – „მიენიჭოს ვოლგოგრადის საერთაშორისო აეროპორტს ისტორიული სახელწოდება „სტალინგრადი“. ასეთი სახელი ჰქონდა ქალაქს 1925-დან 1961 წლამდე.

მაგრამ მოსკოვის მეტროპოლიტენში – რუსეთის დედაქალაქის ამ არქიტექტურულ მარგალიტში გახსნილი ძეგლი, რომელსაც მილიონობით მგზავრი ყოველდღიურად ხედავს, კიდევ უფრო მნიშვნელოვან სიმბოლურ ჟესტს წარმოადგენს.

## სტალინიზაცია და სტალინის „გათეთრება“

**იოსებ სტალინის რეპუტაციის აღდგენა გრძელდება. 2015 წელს მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რუსების 45% თვლიდა, რომ სტალინის მმართველობის პერიოდში მომხდარი რეპრესიები გამართლებული იყო (2012 წელს ასე მხოლოდ 25% თვლიდა). 2025 წლის მონაცემებით კი უკვე რუსეთის მოსახლეობის 63% იოსებ სტალინის როლს ქვეყნის ისტორიაში მთლიანობაში პოზიტიურად აფასებს.**

ეს თვალსაზრისი ინერგება სკოლებში, მისი ტრანსლირება ხდება რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ, სადაც დღეისათვის ანტისტალინური მასალების გამოქვეყნების ფაქტი ძალზე იშვიათობა გახდა.

რუსეთში აკრძალულია ისეთი უცხოური წყაროები, რომლებშიც იოსებ სტალინის კრიტიკა ჩანს, მაგალითად, 2017 წელს დადგმული ბრიტანული კომედია „სტალინის სიკვდილი“. კრემლს ეშინია, რომ ვაითუ პუტინურ მითოლოგიას სტალინის პიროვნების შესახებ ჩრდილი მიადგეს.



სტალინის
ქანდაკება ბუდაპეშტში, რომელიც
1956 წელს დემონსტრანტებმა დაანგრიეს

იხ. 10 გვ.

# რატომ დაბრუნდა მოსკოვის მეტროში სტალინი?!

(მეცხრე გვერდიდან) სტალინის რეაბილიტაციის მიზანია, განამტკიცოს პუტინის რეჟიმისადმი მხარდაჭერა, ჩამოაყალიბოს რუს ბავშვებში და მოზარდებში რეფლექტორული თანხმობა და ჩაუნერგოს მათ სიამაყის გრძნობა საკუთარი ისტორიის მიმართ... თუმცა სტალინისადმი მიდგომას სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში უარყოფითი გამოხატულებაც აქვს.

ბელადის მშობლიური საქართველოს გარდა (რომელიც ამ მხრივ გამონაკლისად უნდა ჩავთვალოთ), იოსებ სტალინს რადიკალურად აკრიტიკებენ რუსეთის სხვა მეზობელ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის ჟამს, არაერთხელ გამხდარა რეპრესიების მსხვერპლნი. ეს განსაკუთრებით ეხება უკრაინას, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ 1932-1933 წლებში განგებ გამოიწვია კოლექტიური შიმშილი – უკრაინაში ეს ტრაგიკული მოვლენა ცნობილია „გოლოდომორის“ სახელით: დაიღუპა 3,8 მილიონი ადამიანი.

ბელადის სიკვდილმა 1953 წლიდან დესტალინიზაციის ტალღა გამოიწვია, რასაც სტალინის ძეგლების განადგურება მოჰყვა მთელი აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით. დესტალინიზაცია დაიწყო უნგრეთის (ბუდაპეშტის) 1956 წლის აჯანყების დროს, მოგვიანებით იგივე განმეორდა ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს („პრაღის გაზაფხული“), პოლონეთში...

აჯანყებების ჩახშობის შემდეგ სტალინის ძეგლების ადგილს იკავებდნენ შედარებით ნაკლებად წინააღმდეგობრივი ვლადიმერ ლენინის ძეგლები, რომელიც რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის საკვანძო ფიგურას და საბჭოთა კავშირის შემქმნელ პიროვნებას წარმოადგენს.

**რუსეთმა აღადგინა სტალინის ძეგლები მის მიერ ოკუპირებულ უკრაინის ტერიტორიებზე და ბოლო დროს დგამს ახლებსაც**



მაგრამ უკრაინის 2014 წლის მაიდნის დროს, რომელიც პრორუსი პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის დამხობით დასრულდა, უკრაინელებმა ვლადიმერ ლენინის ძეგლებიც არ დაინდეს და დაანგრიეს. პროლეტარიატის დიდ ბელადს მიაყოლეს საბჭოთა ეპოქის სხვა სიმბოლოებიც – მათი აღების პროცესს „ლენინოპადი“ („ლენინცვენა“) ეწოდა.

ამ ყველაფერმა გავლენა მოახდინა სტალინის აღორძინებაზე რუსეთში: საბჭოთა მემკვიდრეობის მკვეთრმა უარყოფამ, რომელიც უკრაინამ გამოავლინა, რუსეთში პირიქით – საბჭოთა ხელისუფლებისადმი პატივისცემა განამტკიცა და, რა თქმა უნდა, გაიზარდა იოსებ სტალინის პოზიტიური შეფასებაც.

რუსეთმა აღადგინა სტალინის ძეგლები მის მიერ ოკუპირებულ უკრაინის ტერიტორიებზე და ბოლო დროს დგამს ახლებსაც, მაგალითად, ქალაქ მელიტოპოლში, სადაც სტალინის ძეგლის გახსნა მეორე მსოფლიო ომში სსრ კავშირის გამარჯვების 80 წლისთავს მიეძღვნა.

რასაკვირველია, რუსეთის ხელისუფალთა მოქმედება ეწინააღმდეგება უკრაინის კანონმდებლობას, რომლის თანახმად, აკრძალულია კომუნისტური (ტოტალიტალური) სიმბოლიკა. ამასობაში კი რუსეთის არმია ყოველ დაკავებულ ქალაქში „გოლოდომორის“ აღსანიშნავად დადგმულ მემორიალებს ანადგურებს.

### რუსეთის სამხედრო ძლიერება – სტალინური სიმბოლო

**იოსებ სტალინის პიროვნების ახლებური აღორძინება და მისი პოზიტიური შეფასება ბოლშევიკური მმართველობის წესის ქება-დიდებას ნიშნავს და ხაზს უსვამს რუსეთის ძლიერებას. ბოლო დროს დადგმულ ძეგლებში სტალინი გამოხატულია სამხედრო კიტელით, რაც მიანიშნებს ძლევამოსილი გენერალისიმუსის დამსახურებას.**

სინამდვილეში სტალინის პიროვნების მიმზიდველობა მისი ხელისუფლების სოციალურ სარჩულში იმალება: როცა ავტორიტარულ სისტემაში, სიმკაცრის პარალელურად, არსებობდა უფასო განათლება და უფასო ჯანდაცვა ყველასთვის. იგივე შეიძლება ითქვას კორუფციაზე (მექრთამეობაზე) და შრომის მიმართ გამოჩენილ გულგრილობაზე: რუსეთში „უწმინდურ“ პოლიტიკოსებსა და უყაირათო სამეურნეო მუშაკებს დღესაც ასეთ წყევლას უთვლიან: „ოჰ, ახლა რომ სტალინი ცოცხალი იყოს, შავ დღეში ჩავარდებოდით!“, „სტალინის ხელი გჭირდებათ, რომ გამოსწორდეთ!“...

თუმცა მაინც იოსებ სტალინის იმპერიული სახე პრევალირებს, რომლითაც ხდება რუსეთის კოლონიური წარსულისა და საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკის გამართლება. რუსეთში ხშირად ხდება სტალინის „გათეთრება“ უინსტონ ჩერჩილის სახელით (რომელიც ბრიტანეთის ეროვნული გმირია, მისი სისხლიანი წარსულის მიუხედავად, მაგალითად, 1943 წლის ბენგალიის შიმშილის პროვოცირებაში): აი, რა კარგად ლაპარაკობს და წერს ინგლისელი პრემიერი სტალინზე.... რა თქმა უნდა, ამაში არის სიმართლის მარცვალი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ უინსტონ ჩერჩილის ნაკლოვანებებზე და მის მონაწილეობაზე ადამიანთა სიკვდილში, რომლებიც ბრიტანეთის იმპერიამ მისი პრემიერობის დროს ჩაიდინა, ყველასათვის გასაგონად შეიძლება ლაპარაკი, რუსეთში კი იოსებ სტალინის კრიტიკა დაუშვებელია.

**ნიშანდობლივია, რომ მოსკოვის მეტროში სტალინის ახალი ძეგლი ღამით დაიდგა, რომ მგზავრების ზედმეტი ყურადღება არ მიექციათ და რაიმე დებატები არ ყოფილიყო, რომლებიც, რა თქმა უნდა, ძირშივე იქნებოდა აღკვეთილი, მაგრამ მაინც არასასიამოვნო შთაბეჭდილებას დატოვებდა.**



**მოამზადა სიმონ კილაძემ**

# ზეციური მშვენიერება მხატვრობაში



ელ გრეკო. „მოციქულები პეტრე და პავლე“.

**ეს იყო დიდი ხნის წინათ, როდესაც პეტერბურგს ჯერ კიდევ ლენინგრადი ერქვა. ერმიტაჟის დათვალიერების დროს აღმოვჩნდი ცალკე დარბაზში, სადაც კედელზე ერთადერთი დიდი სურათი ეკიდა. თვალი როდესაც გავუსწორე ამ სურათს, თითქოს რაღაცამ დამაგარგაცა, სუნთქვა შემიკრა და გამაოგნა, ისეთი ძალა და მშვენიერება იღვრებოდა ამ სურათიდან. ეს იყო ელ გრეკოს ქმნილება „მოციქულები პეტრე და პავლე“.**

ვერანაირი რეპროდუქცია ვერ გადმოსცემს ორიგინალის ძალასა და მშვენებას, რაც ადრევე ვიცოდი, და ის, ვინც საერთოდ შეადარებს ორიგინალებს და რეპროდუქციებს, ამაში ადვილად დარწმუნდება.

ერმიტაჟმა უბრალოდ ღირსი გამხადა იმ ბედნიერების, რომელსაც ეზიარებოდნენ ამ სურათის შემყურე ელ გრეკოს დროინდელი ტოლედოელები. ეს განსაკუთრებული ბედნიერებაა მორწმუნე, ქრისტიანი ადამიანისთვის, რადგანაც გენიალურად დახატული მოციქულების ხილვა მასში რელიგიურ ექსტაზს იწვევს, მასში ერთდროულად იწვევს მოციქულთა წინაშე თაყვანისცემასა და სინანულის ცრემლებს, უხვად გადმოღვრილს ქალისა თუ მამაკაცის მიერ. აქ ძალაუნებურად გახსენდება ნეტარი ავგუსტინეს სიტყვები მისი „აღსარებიდან“: „მოუსვენრად არის გული ჩვენი, უფალო, სანამ სიმშვიდეს არ ჰპოვებს შენში“.

სურათის ჩვეული აღწერა ასეთია: ელ გრეკო წარმოგვიჩენს ფეხზე მდგომ მოციქულებს, ორივეს მზერა ერთი წერტილისკენ არის მიმართული. პეტრეს პირისახე უსათნოესია, თითქოს ახალი ნამტირალევია: პეტრეს მიერ მაცხოვრის უარყოფა მღვდელმთავრის ეზოში (ადამიანური შიშის გამო), შემდეგ კი ღრმა სინანული და მწარე ტირილი (მათე 26, 69-75; მარკოზი 14, 66-72, ლუკა 22, 62-65). მისი სამოსი გაფითრებული მომწვანო-მოყავისფრო ფერისაა, მარცხენა ხელში უპყრია სამოთხის კლიტენი, რომელიც მას უფალმა ჩააბარა. 67 წელს, იმპერატორ ნერონის მიერ ქრისტიანთა დევნის დროს, პეტრე მოციქული შეიპყრეს რომში და აწამეს (პავლესთან ერთად).

მისივე თხოვნით, თავდაღმა გაუკრავთ ჯვარზე.

პავლე მოციქულს მოქცევამდე ეწოდებოდა სავლე. იგი ქრისტიანების დიდი მდევნელი იყო, მაგრამ დამასკოს გზაზე ქრისტეს სასწაულებრივ ხილვას მოუქცევია. „როცა გზად მიმავალი მიუახლოვდა დამასკოს, ანაზდეულად მოიცვა იგი ნათელმა ზეცით. და დაეცა მიწაზე, და მოესმა ხმა, რომელმაც უთხრა: საულ, საულ, რად მდევნი მე? და თქვა: ვინა ხარ შენ, უფალო? ხოლო უფალმა თქვა: მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი. გაგიჭირდება წიხლვა დეზისა“ (მოციქულთა საქმე, თ. 9, 3-5).

პავლე ღია წითელ-მოშავო სამოსშია გახვეული. მარჯვენა ხელი თითქოს დასამოძღვრად აქვს აზიდული, მარცხენით ეყრდნობა სახარებას...

* * *

### ლადო გუდიაშვილი: „სერაფიტას გასეირნება“ და ღვთისმშობლის ფრესკა ქაშუეთის ეკლესიაში

უმშვენიერესი პირისახე, სანდომიანი სხეული მსხვილი ბარძაყებით, თვალს იზიდავს სერაფიტაში, რომელიც სასეირნოდ გამოსულა თავისი მოზეიმე ამალით, სასახლის კარიბჭესთან. ვინ არის სერაფიტა? ამას გვაუწყებს ცნობილი არმაზის ბილინგვა, რომლის ბერძნული ტექსტის თარგმანი ასეთია: „სერაფიტა, ასული პიტიახში ჯავახ მცირისა, მეუღლე პუბლიკიოს აგრიპა პიტიახშის ძის იოდმანგანისა – ქართველთა მეფეს დიდი ქსეფარნუგის მრავალ გამარჯვებათა მომპოვებელი ეზოისმოძღვრისა, გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ოცდაერთისა წლისა, მქონებელი შეუდარებელი სილამაზისა“.

მხატვრის ეს ნაწარმოები მოწმობს მის გენიალურ უნარზე, მღვრიე წარმართული მშვენების განდიდების შემდეგ, ამაღლდეს ზეციური მშვენიერებისაკენ, რომელსაც გამოსახავს მის მიერვე შექმნილი ღვთისმშობლის ვეებერთელა ფრესკა ქაშუეთის ეკლესიაში, რომლის ხილვა და ჭვრეტა ნებისმიერ დროს შეუძლია მკითხველს.

**ვიქტორ რცხილაძე**



ლადო გუდიაშვილი. „სერაფიტას გასეირნება“



თემო ნაცვლიშვილი-100

# მეგზური ქართველთა იდენტობის სივრცეში

## 5. მოგზაურობა მეხუთე: სხვა ქმნილებათა შესახებ, ანუ ახალი „მიმომსვლელობა“ ძველ საქართველოში

**მართალია, ბატონ თემოს უშუალოდ არ ვიცნობდი, მაგრამ მისმა ფოტოსურათებმა ბევრი რამ მაუწყა: მაგალითად, 1953 წლის ოჯახურ ფოტოსურათზე იგი ხალისიანობით, ენერგიით, ოპტიმიზმით, უშუალო, წრფელი სიხარულით გამორჩეული, ახალგაზრდა შემოქმედია; 1970 ფოტოპორტრეტში წარმოსადეგი გარეგნობის მქონე, ღირსებააღვსილი და უკვე დაღვინებული პიროვნება ჩანს; 1984 წლის სურათში ვხედავთ ცხოვრებისეული გამოცდილებით დადინჯებულ, დარბაისელ ადამიანს; ყველაზე მეტყველი კი მაინც ის ბოლოდროინდელი ფოტოასახულობებია, რომლებშიც აღვიქვამთ დაბრძენებულ, ღრმად განსულიერებულ, ძირისძირეულად ინტროვერტირებულ, კეთილშობილ, თვითჩაღმავებულ პიროვნებას. ამ ტიპის ფოტოფურცლებიდან ყველაზე მეტყველი მაინც 1996 წელს გადაღებული სურათია შვილიშვილთან ერთად, რომელიც ძლიერ ზემოქმედებას ახდენს და თაობათა უწყვეტობის იმედიანობით აღგვავსებს.**

მე მგონია, ქართულმა კინოხელოვნებამ ბევრი რამ დაჰკარგა, ვინაიდან არ დააფიქსირა მისი ესოდენ გამორჩეული გარეგნობა.

მთელი ეს ფოტომატიანე დიდად ინფორმაციულია, კარგად მეტყველებს რა მოქანდაკის წრფელი საზრისმაძიებლობით აღსავსე ბიოგრაფიაზე.

ამ „ფოტოთავგადასავალზე“ ყურადღების გამახვილება კი ჩემთვის შემთხვევითი ცნობისმოყვარეობის გამოვლენა არ ყოფილა. საქმე ისაა, რომ ბატონი თემოს ქმნილებებში, ვგონებ, სწორად აღვიქვი, რომ მისი სულ სხვადასხვა დროს შექმნილი, მაგრამ „ღერძული“ ქმნილებები, ისეთნი, როგორც მეფე მირიანი (1965), იაკობ ცურტაველი (1985), იოანე პეტრიწი (1991) და სხვები, არათუ მოქანდაკის შინაგანად „მახლობლებად“ აღიქმებიან, არამედ მათს ძირისძირეულ განსულიერებულობაში ის ამოიცნობა, რომ გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენ საქმე გვაქვს შეფარულ „ავტოპორტრეტებთან“. აქ იმდენად როდი იგულისხმება გარეგნული მსგავსება. თავად მისი წარმოსახვითი

გაგრძელება, დასაწყისი
იხილეთ „სრ“ №87, 88-89, 90, 91



წმინდა ნინო

პროტაგონისტებიც ხომ სხვადასხვა იერის მქონენი არიან. მთავარი, ცხადია, შინაგანი – „სულმონათესაობითი“ ავტოპორტრეტულობაც არის და საყოველთაო, საზიარო ფასეულობებთან ის შეზიარებულობაც, რომელიც ერთსულოვნებას ანიჭებს მთელ სერიას და ამასთანავე, აქ პიროვნებისმიერი – მის სკულპტურაში პროეცირებული „თვითარსობის“ მატარებლად აღიქმება.

თითოეული ეს ქანდაკება ატარებს იმ განცდას, რასაც რევაზ თვარაძე „თხუთმეტსაუკუნოვან მთლიანობას“ უწოდებს.

მეფე მირიანი... ჩვენი ისტორიის საკვანძო ფიგურა. რომ მისი საკვირველი გულგახსნილობა არა, დაინახავდა კი ის წმ. ნინოს განუზომელ ღვაწლს?! დედოფალ ნანასთან ერთად, მან არსებითად „დაჰბადა“, როგორც ხელისუფალმა, ახალი და ნამდვილი, „თვითმიკვლეული“ საქართველო, როგორც უმაღლესი ქრისტიანული მრწამსისათვის შეწირული სივრცე. თავად მისი, თითქოსდა ღვთის წინაშე „წარდგომილობა“ – უაღრესად მრავლისმეტყველია! იგი მართლაც სვეტივით არის აღმართული, თითქოსდა **axis mundi**-ს, სამყაროული ღერძის მიმბაძავიაო – ცისა და მიწის დედაბოძისებრ მაერთებლად რომ ქცეულა! სადა სილუეტი აქ მხატვრულად სარწმუნოცაა და სემანტიკურად ძლიერიც. მკლავები ნინოს ჯვარისებრ აქვს განთავსებული; გულსმიბჯენილი „ხმალ-ჯვარი“ მასთან განუყოფელობის მატარებელია, – თითქოსდა მთელი სხეულით რომ შეუსისხლხორცებია. პირისახე ვგონებ, გუთურ სკულპტურაზე „მეტობითი“ სპირიტუალიზაციითაც კი გამოირჩევა. აქ დიდი მოღვაწის, არსებითად, თეოზისის წარმოჩენასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ახლა იაკობ ცურტაველის ხატებას დავაკვირდეთ: აქაც ვხედავთ დიდად თავისებურ, ღრმად განსულიერებულ „აწელილობას“ პროპორციისა, მზერაში – მარადისობისათვის თვალმიპყრობილობას, ჰიპერტროფირებული ხელის მტევანთა მძაფრმეტყველებაში – ძაბვით ხატოვანებასისავსეს, ხოლო გრაგნილის „დამძიმებულობაში“ – „შუშანიკის წამების“ სულიერ „წონადობასა“ და თავად ქრისტიანული მრწამსის მარადდაუთმობელ ღირსებაშეუბღალავობას.

დაბოლოს – იოანე პეტრიწის მხატვრულ სახეში აღვიქვამთ დიდად მეტყველ ჟესტს: ვგონებ, აქ უნდა იგულისხმებოდეს ხელის მტევნის განთავსებაში – „სხივსშეგებებულობა“. ასეთი (უკეთ – მგვანი) კონცეფცია ძველეგვიპტურ რელიეფშიც გვინახავს, რომელშიც „ზენა“ სხივი და ქმედითობააღვსილი ხელის მტევანი ურთიერთშეგებებულობას ამჟღავნებს...

ვინ იყო იოანე პეტრიწი? უდიდესი ქართველი ფილოსოფოსი; ანტიკურობისა და შუასაუკუნოვანების მასინთეზირებელი; დავით აღმაშენებლის თანამოდასე; გელათის აკადემიის „სიბრძნეთმოძღვარი“; თავად რუსთველისეული გენიის შემამზადებელი... ძალზე თამამი და გაბედულია მისი სახის ინტერპრეტაცია. იგი მართლაც ზეშთაგონებულია, და ამ ზეშთაგონებას ზედმიწევნით წარმოაჩენს თვალების პლასტიკის უსასრულობასთან წილნაყარი ძერწვის ხასიათი...

საზოგადოდ, ამ ქმნილებათა გარკვეული „ასკეტურობის აურა“, იგულვებს არა ენერგომოკლებულობას, არამედ ჭეშმარიტ და სულიერად ულევ ძალამოსილებას, სხეულის გაწმენდას. რაოდენ საგულისხმოა, რომ განსაკუთრებით მეფე მირიანისა და მომდევნოდ, ასევე იაკობ ცურტაველის სკულპტურები შექმნილია საბჭოურ ხანაში, ქრისტიანობის ყოვლად აბსურდული განდგომის ჟამს (თუმცა 1985 წელმ უკვე უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II უძღვება ჩვენს ეკლესიას). ეს ქანდაკებები ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ ბატონი თემო ნაცვლიშვილი თავისი სულიერი ხედვით, გაგანია საბჭოეთშიც, სწორედაც ქრისტიანი და მაცხოვრის ერთგული იყო. მართალია, ეს არაა საეკლესიო ხელოვნება, მაგრამ რელიგიური – უთუოდ არის. შემთხვევით ხომ არ გამოუქანდაკებია არაერთგზის – ამდენი წმინდანი!

სამსავე ქანდაკებაში მომგებიანია „სიძველის“ ესთეტიკური დატვირთვა, ჩენილი მაგალითად ფაქტურულად ნაჭერ „ხაოიანობამეტყველებაში“. ეს სკულპტურები ერთგვარად ანტიგრავიტაციულიცაა. მათში იკითხება თავისებური ანთროპოლოგიური იდეალი, რომელიც გადამწყვეტ სულიერ ამაღლებულობასა და წუთისოფლის ამაოების მძლეველობასაც გულისხმობს...

როგორც აწ უკვე საეკლესიოდ განკუთვნილი მომცრო რელიეფი, აუცილებლად აღსანიშნავია „წმ. ნინო“ (1973), რომელიც იმხანად (რაც ხაზგასასმელია), მცხეთის სასულიერო სემინარიამ დაუკვეთა ოსტატს. ეს, რაღა თქმა უნდა, იყო XX საუკუნეში, საბჭოური ეპოქისათვის უიშვიათესი მოვლენა – ამჯერად კი წმ. ნინოს კომპაქტური გამოსახულება ჩვენი საპატრიარქოს კარიბჭეზეა წარმოჩენილი... სულაც არაა გასაკვირი, რომ იმხანად სემინარიის რექტორმა, აწ ჩვენმა პატრიარქმა ეს ქმნილება სწორედ თემო ნაცვლიშვილს დაუკვეთა.

დაბოლოს, ერთ არსებით მხარეზე უნდა გავამახვილო ყურადღება. თავად ბატონი თემო მიიჩნევს, რომ მას სამყაროს რეალისტური ხედვა ახასიათებს, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ასეთი შეხედულება რამდენადმე ავიწროებს მისივე შემოქმედების დიაპაზონს. პრინციპში ეს თეზა უფრო მაშინ იქნება მისაღები, თუკი რეალიზმის ცნებას ძალიან ფართო თვალსაწიერით განვიხილავთ: ასეთ შემთხვევაში ვერც იმას უარვყოფთ, რომ, მაგალითად, „მეფე მირიანში“ არის არამიმეტური, უაღრესად სპირიტუალიზებული, ანდა სულაც – საკრალიზებული „რეალიზმი“. ასეთი სახის ქმნილებებში უთუოდ არსებობს ძლიერ პირობითი „ნეო-მოდერნისტულობის“ წილიც, რაც ამ შესანიშნავი, დაუოკებლად მრავლისშემმეცნებელი და „არსმაძიებელი“ ოსტატის სახვით არსენალს გაცილებით ტევადს ხდის...

**სამსონ ლეჟავა,**
**ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი.**

(დასასრული იქნება)



იოანე პეტრიწი. მეფე მირიანი და იაკობ ცურტაველი

# ნინა ჟვანია და მამია ზოდელავა



**ბევრ საინტერესო პიროვნებას შევხვედრივარ ჩემი ცხოვრების მანძილზე და ერთ-ერთი გამორჩეული სიმონიკა სხირტლაძე იყო. იგი საქართველოში ცნობილი, აღიარებული პედაგოგი გახლდათ, ქართული ლიტერატურის სპეციალისტი, ფილოლოგი და, იმავ დროს, განთქმული თამადა, ენამჭევრი და მრავალმხრივ განსწავლული კაცი.**

იგი თავის მოწაფეებს არა მარტო ქართული ლიტერატურის მოყვარულ და დამფასებელ ადამიანებად ზრდიდა, არამედ, ჭეშმარიტ პატრიოტებადაც, ასწავლიდა ადამიანური ცხოვრების ნორმებს და ქართულ ტრადიციულ ადათ-წესებს. ის განსაკუთრებით უყვარდა თავის ყოფილ მოწაფესა და გამორჩეულ პიროვნებას თამაზ კვაჭანტირაძეს.

მომსწრე ვარ როგორც ჭირის, ასევე ლხინის სუფრებზე მისი განუმეორებელი თამადობისა. ამ მხრივ მას, ვფიქრობ, ვერავინ შეედრებოდა...

სიმონიკა სხირტლაძე განეკუთვნებოდა თამადათა იმ კატეგორიას, რომლის სათავეებთან შედან ჭილაძე, გულბაათ ჭავჭავაძე და შალვა დადიანი მოიაზრებოდნენ...

ერთ ამბავს გავიხსენებ. ცნობილმა მშენებელმა ზურაბ ჯაფარიძემ თავისი ვაჟის – გიასა და მისი რჩეულის მარინა ერისთავის ქორწილში მეუღლით დამპატიჟა. გია, რომელიც დღეს სახელოვანი მხატვარი-მოქანდაკეა და მისი უსათნოესი მეუღლე მარინა ამჟამად ჩემი მძახლები არიან.

დიდი ქორწილია. გიას სახელოსნოში უზარმაზარი სუფრაა გაშლილი. თამადა სიმონიკაა. ქორწილს უძღვება ზღაპრულად!..

ქეიფი დაწყებული იყო, როცა ქალბატონი ნინა ჟვანია და მისი მაზლი მამია ზოდელავა საქორწინო დარბაზში მოვიდნენ. ზამთარია. ქალბატონ ნინას „ჩერნაბურკა“ აქვს მხრებზე მოგდებული, ზამთრის „შლაპა” ახურავს.

შემოვიდნენ და ჯერ კიდევ კართან იდგნენ, როცა სიმონიკა სხირტლაძემ თვალი მოჰკრა მათ, წამოდგა და ისეთი დიდებული სიტყვა უთხრა ქალბატონ ნინას, რომ მისი გამეორება ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. შემდეგ აიღო უშველებელი ყანწი და შემოსწრებულებს მიმართა:

– ამ ყანწით შევსვი ნეფე-პატარძლის სადღეგრძელო და თქვენც გთხოვთ, სიტყვა შეგვაწიოთ!

ნინა ჟვანიამ, ისე, რომ წარბიც არ შეუხრია, უპასუხა:

– მესროლე ეგ ყანწი!

გადავირიე, ხომ არ გაგიჟდამეთქი. ამ სიშორიდან ამხელა ყანწი რომ ესროლა, ნინას ვერ დაეჭირა და ვინმეს თავში მოხვედროდა, ერთი ამბავი დატრიალდებოდა?!

სიმონიკამ მარჯვედ ისროლა ყანწი, ნინამ კი მოხდენილად, ცალი ხელით დაიჭირა... ხალხმა შვებით ამოისუნთქა და ტაშმაც იქუხა...

მაგრამ ეს მხოლოდ მშვენიერი სანახაობის დასაწყისი იყო.

ქალბატონმა ნინამ ყანწის შევსება ითხოვა.

შეუვსეს.

ჯერ ისევ კართან იდგნენ ნინა და მამია.

წარმოთქვა ნინამ მშვენიერი სადღეგრძელო და მიიყუდა ყანწი.

მამია ჩუმად „ევედრება” – ცოტა დამიტოვეო. მაგრამ ნინა ჟვანია რის ნინა ჟვანია იქნებოდა...



სიმონიკა სხირტლაძე

გამოცალა: ასე მტერი დაგვეცალოთო და ისე გადასცა მამიას!..

* * *

**ცნობილია, რომ 1952 წლის დასაწყისში მამია ზოდელავა „მეგრელთა საქმის“ მღვრიე ტალღაში მოჰყვა... იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს... მაშინ ის საქართველოს კომკავშირის ცკ-ის პირველი მდივანი იყო.**

მკითხველს იმასაც შევახსენებთ, რომ „მეგრელთა საქმის“ გამო გასამართლებულები, ასევე, სამამულო ომში ტყვედ მყოფნი თავიანთი ოჯახებით, მცირეწლოვანი შვილებით გადაასახლეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ორივე საქმე შეთითხნილი და თითიდან გამოწოვილი იყო. ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი ის არის, რომ ეს უდანაშაულო ადამიანები, მაშინდელი 16 რესპუბლიკიდან, ამ გაუგონარი ბრალდებებით მხოლოდ საქართველოდან გადაასახლეს! მათი უმრავლესობა ინტელიგენცია იყო.

წყალტუბოში ვისვენებდი. მამიაც იქ იყო მეუღლესთან ერთად. ერთ მშვენიერ დღეს თავისთან მიმიწვია შვილის – ანდროს გამოგზავნილ პურმარილზე, რომელიც მაშინ ზუგდიდის ქალაქკომის პირველ მდივნად მუშაობდა. მხოლოდ ორნი ვიყავით. მისი კეთილშობილი და სათნო მეუღლე, ქალბატონი ტურფა გვემსახურებოდა.

მაშინ მიამბო მამია ზოდელავამ, როგორ დააპატიმრეს, როგორ დახვდნენ საღამოს კომკავშირის ცეკადან გამოსულს ჩეკისტები, აქეთ-იქით ამოუდგნენ და თავიანთ მანქანაში ჩასვეს...

სულ წვრილად ჰყვებოდა ყველაფერს, ეტყობა, უნდოდა, რომ ვინმესთვის მოეთხრო თავისი მძიმე ცხოვრების ისტორია, რომელიც ისევე უცნაურად დამთავრდა, როგორც დაიწყო.

– სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ბერიას დიდი ძალისხმევით, სულ რაღაც თვე-ნახევარში ყველა გაგვათავისუფლეს. გადასახლებიდან დაბრუნებული, მოსკოვში ლავრენტი ბერიასთან მიმიყვანეს. შევედი მის უზარმაზარ კაბინეტში და აღმოვჩნდი მარტო. მოულოდნელად, გრძელი და ფართო მაგიდის თავში იატაკიდან ამოიზიდა სავარძელში მჯდომი ბერია – შევცბი. მომესალმა. მომიკითხა, დამსვა, მესაუბრა და საუბრის ბოლოს მითხრა, რომ თბილისში ჩასვლისთანავე მუშაობას დავიწყებდი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

გამიკვირდა! – გადასახლებიდან პირდაპირ ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა?!.

ბერია დამემშვიდობა და, ისევ მოულოდნელად, სავარძელში მჯდომი, იატაკის სიღრმეში გაუჩინარდა...



* * *

**მინდა, აღვნიშნო, რომ როგორც ქალბატონი ნინა ავქსენტიევნა (ასე მივმართავდით მას), ასევე მამია ზოდელავა არაჩვეულებრივი და ღირსეული პიროვნებები იყვნენ. ისინი ყველას უყვარდა. ქალბატონი ნინა მთელი საქართველოს ჭირისუფალი იყო. მეუღლის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, მას არც შავი სამოსი გაუხდია და არც თმა შეუღებავს.**

როდესაც შეიქმნა „საქაგრომრეწვი” გურამ მგელაძის ხელმძღვანელობით, ბატონი მამია იქ გადაიყვანეს მოადგილედ, მე კი მის ადგილას დამნიშნეს მშენებლობის მინისტრის მოადგილედ.

მიუხედავად ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობისა, ორივესთან ყოველთვის შესანატრი ურთიერთობა მქონდა.

ღმერთმა გაანათლოს ამ გულისხმიერი და კეთილშობილი პიროვნებების სული.



**ომარ მარგველაშვილი,**
**საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ნიკო ნიკოლაძისა და ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, დამსახურებული ინჟინერი, ღირსების ორდენის კავალერი, სამგზის საქართველოს ჩემპიონი აკადემიურ ნიჩბოსნობაში.**




# ქართული ღვინის წარდგენა ჩინეთსა და ამერიკაში

**ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა შანხაიში მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ღვინის კონკურსს Shanghai International Wine Challenge (SIWC) დაესწრო, რომლის ფარგლებში ხუთდღიანი კონკურსის ერთი საკონკურსო დღე მხოლოდ ქართულ ღვინოს დაეთმო.**

რიგით მე-19 კონკურსი 2006 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და მისი მიზანია მსოფლიოს მასშტაბით ღვინის უმაღლესი ხარისხის წარმოჩენა და საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული ურთიერთობების გაღრმავება ჩინეთის ბაზარზე. კონკურსზე წარდგენილი იყო 200 ქართული ღვინო.

**„SIWC წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პლატფორმას ღვინის მწარმოებლებისთვის, სადაც მათ შეუძლიათ თავიანთი პროდუქცია გააცნონ ღვინის პროფესიონალებს, მედიასა და მომხმარებლებს. გამარჯვებული ღვინოები აქტიურად შუქდება პრესაში და იღებს ფართო აღიარებას. გასულ წელს კონკურსში წარმოდგენილი იყო 500-ზე მეტი ღვინო მსოფლიოს 20 სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, უნგრეთიდან და ავსტრალიიდან“,** – აღნიშნა **ლევან მეხუზლამ.**

ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა ქართული ღვინის მასტერკლასი და დეგუსტაცია, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა და სააგენტოს სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ანა გოდაბრელიძე უძღვებოდნენ. ქართული ღვინის წარდგენას ღვინის პროფესიონალები, იმპორტიორები, დისტრიბუტორები, მედიის წარმომადგენლები და ღვინის მომხმარებლები დაესწრნენ. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ქართული ღვინის ერთ-ერთი გამოკვეთილი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, 2013 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს მარკეტინგული კამპანია. ჩინეთი მყარად დამკვიდრდა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში. მიმდინარე წლის იანვარ-მაისის მონაცემებით, საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებულია 1.4 მლნ ლიტრი ქართული ღვინო, რაც 65%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

* * *

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის წარდგენა პრესტიჟულ ამერიკულ ღონისძიებაზე „James Beard Foundation“ გაიმართა,** – ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში, ქალაქ ჩიკაგოში პრესტიჟულ ღონისძიებაზე „James Beard Foundation“ იყო წარმოდგენილი.

**„ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით, კულინარიულ ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პრესტიჟული დაჯილდოების ცერემონია „James Beard Foundation“, რომელიც წელს ჩიკაგოს ოპერაში გაიმართა, შეფ-მზარეულებისა და რესტორატორების გამორჩეულ მიღწევებს, ინოვაციებს, აგრეთვე კვებისა და სასმელების ინდუსტრიაში მიღწეულ წარმატებებს ეძღვნება.**

რესტორნებისა და შეფ-მზარეულების ჯილდოები გადაეცემათ კულინარიულ ხელოვნებასა და აგრეთვე კვებისა და სასმელების ინდუსტრიაში მიღწეული წარმატებებისთვის. ყოველწლიური ღონისძიება 1986 წლიდან ტარდება და მისი მიზანია ამერიკის რესტორნების ინდუსტრიის სტანდარტების სრულყოფისა და განვითარების ხელშეწყობა.

# არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში!..

**ქართული მუსიკალური ხელოვნება საუკუნეთა წიაღიდან მოჩუხჩუხე ის თავანკარა წყაროა, ერის თვითმყოფადობის სოლიდურ ბარომეტრს რომ წარმოადგენს, ხოლო ძველი და თანამედროვე ჰანგების სინთეზით როგორც პროფესიონალთა, ისე მოყვარულთა საშემსრულებლო ოსტატობა იხვეწება და, რაც მთავარია, საზოგადოების გემოვნება ყალიბდება.**

**ეს, ასე ვთქვათ, ზოგადად, კონკრეტულად კი აღნიშნული მიზნის მიღწევაში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს სამამულო ტელესივრცის პოპულარულ პროექტებს, მათ თითოეულ კონცერტს სულმოუთქმელად რომ ელის მაყურებელი. ეროვნული კულტურის ზეიმი – მოკლედ, ასე შეგვიძლია შევაფასოთ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველ არხსა და „რუსთავი-2“-ზე უკვე დასრულებული, შესაბამისად, ფოლკლორული ფესტივალის სადარი „ხალხური“ და ახალგაზრდა ტალანტთა წკრიალა ხმების საგადო „საქართველოს ხმა“, სეზონის გვირგვინი – ტელეიმედის „მიმღერე“ კი გრძელდება და, თუ ობიექტური ვიქნებით, მსგავსი პროფილის გადაცემათა ლიდერადაც გვევლინება.**

**ღირსეულ კოლეგებთან ჯანსაღ კონკურენციაში დამსახურებული წამყვანი პოზიცია, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად უკვე აღიარებულ ძველ გვარდიასა და ჰიტებად ქცეულ მათ რეპერტუარსაც უკავშირდება, მაგრამ პროექტის ორგანიზატორთა მიმართ ალალი მადლიერება იმის გამოც უნდა გამოვხატოთ, შემოქმედებითი ნათლობისთვის სცენას თამამად რომ უთმობენ მომავალ ვარსკვლავებს. აქვე დავძენთ, რომ ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ფაქტორად გადაცემის ფორმატი მიგვაჩნია, რომელიც არ გახლავთ კონკურსი და ამით დებიუტანტებს გარკვეული დოზით მოხსნილი აქვთ ფსიქოლოგიური წნეხი. დაგვეთანხმებით, ესეც საგულისხმო ნიუანსია.**

**ზემოთ ძველი გვარდია ვახსენეთ და, ეჭვგარეშეა, მსმენელამდე მათი ქმნილებების მიტანა თავისთავად გულისხმობს საშვილიშვილო პროექტის მთელი შემოქმედებითი ჯგუფის ტიტანურ შრომას, რისთვისაც, დარწმუნებულნი ვართ, „ზემდგომთაგან“ სათანადო დაფასება არ მოაკლდებათ, თუმცა, უმთავრესი – ხალხის სიყვარული უკვე დამსახურებული აქვთ.**

მოკლედ, უღრმესი მადლობა ჩვენს გენიალურ კომპოზიტორებს, მომღერლებსა და დიდი ქართული მუსიკალური თემის თითოეულ წევრს, ახლა კი გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ „მიმღერე – 2025“-ის ნამდვილი აღმოჩენა – **ანა გოგსაძისა** და **ზუკა ბახტაძე-ბალანჩივაძის** ოჯახური წყვილი, რომელიც ეკრანზე პირველივე გამოჩენიდან თანაბარწილად გვარწმუნებს როგორც სიყვარულის, ისე მელოდიის მარადიულობაში.

დიახ, ერთმანეთისთვის არიან შაქმნილნიო, ალბათ სწორედ მათზეა ნათქვამი, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ყოველთვის ხალისიანი და თანდაყოლილი ღიმილით გასხივოსნებული ახალგაზრდა მანდილოსანი პირველად წარდგა აუდიტორიის წინაშე და სავსებით ლოგიკურად მიმართეს მას კოლეგებმა რამდენჯერმე – აქამდე სად იყავიო. ვიმედოვნებთ, იგი თანდათან გაუშინაურდება შემოქმედებით ცხოვრებას და მუსიკალურ მოვლენათა ეპიცენტრში იტრიალებს, მით უმეტეს მაშინ, როცა გვერდს პროფესიონალი ხელოვანი უმშვენებს.

რაც შეეხება „გუნდის კაპიტანს“, ზუკას მუსიკის ჰანგები მოცეკვავე მშობლების გენებიდანვე დაჰყვა, თუმცა, სავარაუდოდ, მისი არჩევანი დიდწილად მაინც აღმზრდელი ბაბუის, ქალაქის კოლორიტის **ზურაბ ბალანჩივაძის** მაგალითმა განაპირობა, რომლის ამაგისადმი მადლიერებაც ორი გვარით სიმღერაში გამოხატა. დაგვეთანხმებით, ასე მხოლოდ რჩეულნი იქცევიან. აღარაფერს ვამბობთ ამ მოკრძალებული და ყოველთვის ჩრდილში ყოფნისაკენ მიდრეკილების მქონე ვაჟკაცის პიროვნულ ღირსებებზე.



## „მიმღერე – 2025“-ის აღმოჩენილი ოჯახური წყვილი

ახლა კი, მოდით, კიდევ უფრო ახლოს გავიცნოთ უკვე საკმაოდ პოპულარული მომავლის დუეტი და პირველი კარიერული ინტერვიუთი გზა დავულოცოთ გაცილებით მასშტაბური აღიარებისკენ.

**– უპირველესად, საინტერესოა, როგორ ვითარებაში „იცნო გულმა გული“.**

– ჩვენი სიყვარულის აკვანი სიყმაწვილეშივე დაირწა მუხათწყაროში, სადაც მეგობრებთან ვიკვეთებოდით, ხოლო შტატებში სწავლის პერიოდში და არდადეგებზე სამშობლოში ჩამოსვლისას მივხვდით, რომ „ეს ის არის“, ყველაფერი კი 2014 წელს დიპლომიან სარძლოზე დაქორწინებით დაგვირგვინდა.

**– რომელი ჟანრის ნაწარმოებებსა და ავტორებს ანიჭებთ უპირატესობას?**

**ზუკა** – მეტ-ნაკლებად უნივერსალობის მომხრე გახლავართ, მაგრამ თუ მაინც ურთულეს არჩევანს გამაკეთებინებთ, განსაკუთრებით ბიძინა კვერნაძეს, გია ყანჩელს, ჯანსუღ კახიძეს, რევაზ ლაღიძეს, გოგი ცაბაძეს და ვაჟა აზარაშვილს დაგისახელებთ.

**ანა** – ეს ის შემთხვევაა, როცა ყველაფერს ვუსმენ, მაგრამ არც იმას დავმალავ, რომ ზუკამ სიღრმისეულად შემაყვარა ქართული მუსიკა.

### სადარბაზო ბარათი

**ზუკა** – დაამთავრა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი. მუსიკალური კარიერა: „საგალობელი“ (მაია მიქაბერიძე), ჯანსუღ კახიძის ბიჭუნათა კაპელა (იქ ეზიარა კლასიკას), „მძლევარი“ (კახა ონაშვილი), სადაც ხალხურ სიმღერებს გაუგო გემო, „ჰერიო“, რომელმაც, ასე ვთქვათ, კაპიტალური შემოქმედება გამოუძერწა, ჯერჯერობით დასკვნითი აკორდი – ტრიო „ბალადა“ და, პარალელურად, სიმღერის აკადემიაში პედაგოგობა.

**ანა** – ნიუ იორკში გახდა ფსიქოლოგიის ბაკალავრი. „ჯიპაში“ დაამთავრა საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრატურა და გაცვლითი პროგრამით პოლონეთში (ვროცლავი) დაეუფლა პოლიტიკურ მეცნიერებას. ამჟამად საავტომობილო გზების დეპარტამენტის ეგიდით ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებითაა დაკავებული. მართალია, ფორტეპიანოზე დაკვრის შემსწავლელი 7-წლედი აქვს დამთავრებული და სკოლაში დადგმულ კონცერტებში, მიუზიკლებსა და სპექტაკლებშიც მონაწილეობდა, მაგრამ თვლის, რომ გატაცებასთან მხოლოდ მამის ახლო ურთიერთობა აკავშირებს ძველ „ქართულ ხმებთან“ და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის ავტორთან დავით მაღრაძესთან. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ სცენაზე ასეთ უნარებს გამოვავლენდი და მსგავს გადაწყვეტილებებს მივიღებდი – ესეც მისი სიტყვებია.

**– იქნებ, თქვენი უცხოელი კერპებიც გაგვაცნოთ.**

**ზუკა** – ენიო მორიკონესა და ნინო როტას კინომუსიკა.

**ანა** – ემინემი, თუფაქი, იმეჯინ დრაგონსი, ქოლდფლეი.

**– „მიმღერეში“ როგორ აღმოჩნდით და იქნებ პირველი შთაბეჭდილებებიც გაგვიზიაროთ.**

**ანა** – აქამდე მაქსიმალურად ვირიდებდით თავიდან პროექტებში მონაწილეობას, მაგრამ „მიმღერეზე“ იმიტომ დავუშვით გამონაკლისი, რომ მას არ ჰქონდა კონკურსის სახე. ისიც ფაქტია, რომ ჩემი დათანხმება ზუკას მოუწია, რაც არც თუ ისე იოლი საქმე გახლდათ, რადგან საერთოდ არ ვმღერი, გარდა ძალიან ვიწრო წრისა, თანაც სამოყვარულო დონეზე. თუკი კიდევ უფრო დავწვრილმანდებით, ჩემი თანხმობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ფართო აუდიტორიის წინაშე ზუკას მთელი სისრულით წარმოჩენის სურვილმა. კიდევ ერთი კოზირი გახლდათ გადაღებებზე „ჰერიოს“ წევრ ჩვენს მეგობრებთან ერთად გატარებული დაუვიწყარი დრო და ისიც ვიცოდი, მათგან ახალ სარბიელზე როგორი თბილი დახვედრა მელოდა.

ახლა უკვე თამამად გეტყვით, რომ ჩემი თავის და სახალხო პროექტის ყველა თანამონაწილის, განსაკუთრებით ზუკასი და მთელი შემოქმედებითი გუნდის მადლიერი ვარ, რომ, კარგი გაგებით, გავთავხედდი და „მიმღერეში“ მონაწილეობა გადავწყვიტე. ისინი იმდენად დამიდგნენ გვერდში, რომ მხრებიდან ფსიქოლოგიური წნეხი ჩამომხსნეს, თანაც ასეთმა აღიარებულმა კორიფეებმა!

**– და ბოლოს – უახლოესი პერსპექტივაც იქნება გაგვიმხილოთ.**

**ზუკა** – სიამოვნებით გაუწყებთ, რომ ანსამბლ „ჰერიოს“ 15-წლიან იუბილესთან დაკავშირებული კონცერტი 29 სექტემბერს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში გაიმართება და რეპერტუარში გვექნება ცნობილ ქართველ ავტორთა შედევრები გუნდისა და ორკესტრის თანხლებით.

**გია პლატონიშვილი**



## ქუთაისში გიორგი დარახველიძის საიუბილეო საღამო გაიმართა

**ქუთაისში, მესხიშვილის თეატრში, გიორგი დარახველიძის 110 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა.**

ღონისძიება ქუთაისის მერიის, კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისა და ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა.

საღამოს გიორგი დარახველიძის ოჯახის წევრები და მოცეკვავეები ესწრებოდნენ.

## თბილისი პიანო ფესტი – დუდანა მაზმანიშვილის სოლო კონცერტი

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, „თბილისი პიანო ფესტის“ ფარგლებში, პიანისტისა და ფესტივალის დამფუძნებლის, დუდანა მაზმანიშვილის სოლო კონცერტი გაიმართა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, შესრულდა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენისა და რობერტ შუმანის ნაწარმოებები – „საფორტეპიანო სონატა“, „საბავშვო სცენები“ და „კრეისლერიანა“. საღამოს საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე დაესწრო. კულტურის მინისტრმა დუდანა მაზმანიშვილს წარმატებული კონცერტის ჩატარება მოულოცა და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობა უსურვა.

„თბილისი პიანო ფესტი“ მეექვსედ იმართება და მასში მონაწილეობენ მსოფლიოში აღიარებული პიანისტები. კონცერტების პარალელურად, ქართველი და უცხოელი ახალგაზრდა მუსიკოსების მონაწილეობით ტარდება მასტერკლასები.



# ოქტაგონზეა ილია მრისხანე!

**ილია თოფურიამ** ჩარლზ ოლივეირა პირველივე რაუნდში დაანოკაუტა., ქართველმა მებრძოლმა მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ მისი შეჩერება ძალიან ძნელი იქნება.ახლა ელ მატადორი ორი დივიზიონის ჩემპიონია.

**„პირველ რიგში მინდა ღმერთს მადლობა გადავუხადო. ყველაფერი, რაც მაქვს, ყველაფერი, რაც ვარ და ის ყველაფერი, რაც ვიქნები სწორედ მისი დამსახურებაა. მე შერეული ორთაბრძოლების ახალი თაობის სახე ვარ. ეს არის თამაშის მომდევნო დონე. მოვიგე ზუსტად ისე, როგორც დაგეგმილი გვქონდა: ბევრი ჯაბი, მარჯვენა ხელით დარტყმა, მარცხენა ჰუკი და ბუმ — მისი ნათურები გამორთული იყო“,** – თქვა **ილია თოფურიამ.**

ქართველმა მებრძოლმა MMA-ში მე-17 ბრძოლა ჩაატარა და ყველა მოიგო, მათ შორის ზედიზედ 9 – UFC-ში.

* * *

**ილია თოფურიას** გამარჯვებას UFC-ის პრეზიდენტი **დანა უაითი** გამოეხმაურა. მან „ელ მატადორი“ მუჰამედ ალის შეადარა, რადგან ილიამ პირობა, რომელიც ბრძოლამდე დადო, ჩარლზ ოლივეირასთან ნოკაუტით გამარჯვების თაობაზე, შეასრულა.



**„ილია ვარსკვლავია, წონის შეცვლა და პირველივე რაუნდში ნოკაუტით გამარჯვება შთამბეჭდავია. თოფურია მუჰამედ ალის შემიძლია შევადარო, რადგან სიტყვა შეასრულა.**

**პიმბლეტის ასვლა? არ ვიცი ტედი რინგზე ვინ აუშვა. ოთახში ვიყავი და სიტუაციას ვერ ვაკონტროლებდი. ამის ნება არ უნდა მიეცათ. ახლა თოფურია-პიმბლეტის შესაძლო ბრძოლაზე არ ვფიქრობ“,** – განაცხადა **დანამ.**

აღსანიშნავია, რომ ილიასა და ჩარლზის ბრძოლა საღამოს საუკეთესოდ დასახელდა და შესანიშნავი პერფორმანსის გამო ბონუსის სახით ქართველი დამატებით 50 000 დოლარსაც მიიღებს.

* * *

**ილია თოფურიას** გამარჯვებას MMA-ს ვარსკვლავებიც ეხმაურებიან. UFC-ის ქართველი ჩემპიონი კოლეგებისგან დიდ მოწონებას იმსახურებს და ბევრისთვის მისი აღმასვლა ისტორიულია. უკვე ადარებენ ისეთ ლეგენდებს, როგორიც კონორ მაკგრეგორია და ამბობენ, რომ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

**ჰენრი სეჰუდო:** „ილია თოფურია ახლა UFC-ის ყველაზე დიდი სუპერვარსკვლავია.“

**ტერენს მაკკინი:** „ილია საუკეთესოა UFC-ის ისტორიაში.“

**სერხიო პეტისი:** „თოფურია სულ სხვა დონეა. ლეგენდა!“

**გილბერტ ბერნსი:** „რა ბრძოლა იყო! თოფურია სხვა კლასია.“

ილია თოფურიამ ალექსანდრ ვოლკანოვსკისა და მაქს ჰოლოვეის დამარცხების შემდეგ წონა შეიცვალა და 65-დან 70-ში გადაინაცვლა, სადაც პირველივე სატიტულო ბრძოლა ჩარლზ ოლივეირას წინააღმდეგ ჩაატარა. ილიამ კიდევ ერთხელ მოასწრო ყველასთვის ეჩვენებინა, რომ მისი შეჩერება ძალიან ძნელი იქნება. მან ბრაზილიელი პირველივე რაუნდში დაანოკაუტა და უკვე ორი დივიზიონის ჩემპიონია.



# კადეტებიც მძლავრობენ

**ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი კადეტ ძიუდოისტებს შორის, სადაც ბოლო საშეჯიბრო დღეს საქართველომ ორი ოქრო და ორი ბრინჯაო ირგუნა.**

81 კგ წონით კატეგორიაში **გიორგი მუმლაძემ** სლოვენიელი მარკო კოვსე, იტალიელი მიკელე რუსო, ჩეხი ადამ სარბოხი, ხოლო ფინალში რუსი ტიმურ ალიევი დაამარცხა და ოქროს მედალს დაეუფლა.

ქალთა შორის 70 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი **ქეთი რობაქიძე** გახდა, რომელმაც ხუთი შეხვედრა იპონით მოიგო. მან ხორვატი ვიტა ჰუდიკა, აზერბაიჯანელი მასუმა მამადლი, რუმინელი ისაბელ ბობი, იტალიელი ჯორჯა გრასი და პოლონელი როქსანა ზისი დაამარცხა. შედეგად, ჩემპიონის ტიტული დამსახურებულად ხვდა.

+90 კგ წონით კატეგორიაში ორივე ბრინჯაოს მედალი ქართველებმა მოიპოვეს. **გიორგი ქარჩაიძემ** ნახევარფინალში გასვლა მოახერხა მოლდოველ კატალინ პლესცასა და სერბ პეტარ ნოვაკოვიჩთან გამარჯვებების შემდეგ, სადაც უნგრელ დანიელ შერმაკთან წააგო. თუმცა, ბრინჯაოს მედლისთვის ბოსნიელი ნიკოლა ლუბურა დაამარცხა და კვარცხლბეკზე ავიდა.

ბრინჯაოს მედალს დაეუფლა **იოანე აბალაკიც,** რომელიც მეოთხედფინალში დამარცხდა, მაგრამ რეპეშაჟში ბოსნიელი იმრან მუჰტარი, სერბი პეტარ ნოვაკოვიჩი და იტალიელი ჯანლუკა პიკი დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ წინა საშეჯიბრო დღეებში **ცოტნე იჩქითიძემ** ვერცხლი, ხოლო **ნანა გულბიანმა** და **ვასილ გამეზარდაშვილმა** ბრინჯაო დაიმსახურეს. შედეგად, საქართველომ კადეტთა ევროპის ჩემპიონატი 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედლით დაასრულა, რითაც მხოლოდ რუსეთსა და აზერბაიჯანს ჩამორჩა.

# საფეხბურთო მოზაიკა

**ათწლიანი** პაუზის შემდეგ **შოთა არველაძე** თურქეთში ბრუნდება და „კასიმფაშას“ გაწვრთნის, სადაც 2012-2015 წლებში სპორტული დირექტორი გახლდათ. შეგახსენებთ, რომ „ტყუპი“ დამოუკიდებელი ეროვნული ნაკრების საუკეთესო ბომბარდირია, ახალ სარბიელზე კი წარმატებებს ვუსურვებთ.



* * *

**21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ფინალი.** ინგლისი – გერმანია 3:2 (დამატებით დროში, 2:2).

* * *

**მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. მერვედფინალი.** პალმეირასი – ბოტაფოგო 1:0 (დ. დ.), ჩელსი – ბენფიკა 4:1 (დ. დ.).



# 3 სეზონის შემდეგ

**2022 წლის შემდეგ პირველად ნიკოლოზ ბასილაშვილი უიმბლდონის ძირითად ბადეში ითამაშებს. საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალში ქართველმა ჩოგბურთელმა არგენტინელი ხუან პაბლო ფიჩოვიჩი დამაჯერებელად 4 სეტში დაამარცხა.**

33 წლის ბასილაშვილმა პირველი სეტი 1:6 დათმო, მეორე პარტია ტაი-ბრეიკზე მოიგო, ხოლო ბოლო 2 სეტში უკონკურენტო იყო და მეტოქეს 6:2, 6:1 აჯობა. შეხვედრა 2 საათსა და 7 წუთს გაგრძელდა, რა დროშიც მსოფლიო რეიტინგის 128-ე ნომერს 65 ვინერსი და 43 უნებლიე შეცდომა ჰქონდა. ბასილაშვილი ბადესთან 38-ჯერ გავიდა და 27 ბურთი მოიგო.

ნიკოლოზმა პირველ და მეორე წრეში ესპანელ და ჰონგ კონგელ მეტოქეებს სძლია.

დღეს 14 საათზე თბილისის დროით მისი პირველი მეტოქე ძირითად ბადეში რეიტინგის იტალიელი მე-7 ნომერი ლორენცო მუსეტი იქნება.

# ოკლაჰომა ნბა-ს ახალი ჩემპიონია!

**დასრულდა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ანუ როგორც ამერიკელები ეძახიან „მსოფლიოს ჩემპიონატი“. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ძალიან მოკლედ გადავავლოთ თვალი „პლეიოფის“ სერიის მსვლელობას და შემოგთავაზებთ მის მოკლე კომენტარს.**

რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პლეიოფის სერიაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს და ასე დაწყვილდნენ გუნდები: **აღმოსავლეთის კონფერენცია:** კლივლენდი – მაიამი; ბოსტონი – ორლანდო; ნიუ-იორკი – დეტროიტი; ინდიანა – მილუოკი. **დასავლეთის კონფერენცია:** ოკლაჰომა – მემფისი; ჰიუსტონი – გოლდენ სტეიტი; ლეიკერსი – მინესოტა და დენვერი – კლიპერსი.

**შემდეგ ეტაპზე გავიდნენ – აღმოსავლეთის კონფერენციიდან: კლივლენდი, ბოსტონი, ნიუ-იორკი, ინდიანა. დასავლეთის კონფერენციიდან: დენვერი,მინესოტა, გოლდენ სტეიტი, ოკლაჰომა.**

მერვედფინალური შეხვედრებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ დენვერის და ლოს-ანჯელეს კლიპერსის დაპირისპირება, ძნელი გამარჯვება მოიპოვა დენვერმა და სერია მოიგო ანგარიშით 4:3.

მეოთხედფინალში გუნდები ასე გადანაწილდნენ – **აღმოსავლეთში:** ბოსტონი – ნიუ-იორკი; კლივლენდი – ინდიანა; **დასავლეთში:** დენვერი – ოკლაჰომა, მინესოტა – გოლდენ სტეიტი; უნდა ითქვას, რომ სერიის მსვლელობას თავისი კვალი დააჩნია ტრავმებმა. მან გავლენა იქონია შედეგზე. მიმომხილველთა უმრავლესობა და მათ შორის ჩვენც, აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში გასვლას უწინასწარმეტყველებდა კლივლენდს, რომელმაც მოიგო რეგულარული ჩემპიონატი და ბოსტონს, რომელიც იყო ნბა-ს ჩემპიონი.

წამყვანი კალათბურთელების ტრავმებით გატანჯულმა კლივლენდმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ოკლაჰომას და დამარცხდა სერიაში 4:1. კიდევ უფრო მოულოდნელი იყო ნბა-ს ჩემპიონის ბოსტონის წარუმატებლობა. მას მკვეთრად გამოკვეთილი ორი მონაკვეთი გააჩნია. ტეიტუმის ტრავმამდე და მას შემდეგ, მაგრამ ყველაფერს ამას ვერ მივაწერთ. ბოსტონმა სერია ძალიან ცუდად დაიწყო და საკუთარ მოედანზე ორივე მატჩი დათმო, თუმცა ამის საშიშროება არ არსებობდა. მასპინძლები მეოთხე პერიოდში 20 ქულით იგებდნენ და ორივე შემთხვევაში დამარცხდნენ. შეიძლება ეს მოგივიდეს ერთხელ, მაგრამ ზედიზედ ორჯერ ძალიან ბევრია. ნიუ-იორკში ერთი მოიგო ბოსტონმა, ერთი კი მასპინძლებმა. სერიის ანგარიში დახდა 3:1. მაგრამ მეოთხე მატჩში დაიმტვრა ტეიტუმი. თუ ტეიტუმთან ერთად ბოსტონს კიდევ რჩებოდა სერიის გადარჩენის თუნდაც მიზერული შანსი, მის გარეშე ის უკვე აღარ იყო. ეს კარგად დაგვანახა მეექვსე მატჩმა. ბოსტონმა დათმო სერია ანგარიშით 2:4.

**მერაბ კალანდაძე**

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს რესპუბლიკა



მაია ბითაძე:

**ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე აუცილებლად გაეცემა პასუხი ყველა იმ ნეგატიურ გზავნილს, რომელიც მომდინარეობს ჩვენი რადიკალური ოპოზიციის მხრიდან და რიგ შემთხვევაში მხარდაჭერილია პოლიტიკოსების მხრიდან**

# ქართული საპარლამენტო დელეგაცია პორტოში

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ მაია ბითაძემ განმარტა, რა საკითხებზე გაამახვილებს ყურადღებას საქართველოს დელეგაცია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ სესიას.

**„ოკუპირებული ტერიტორიები, ეკონომიკური განვითარება, ინსტიტუციური გაძლიერება და დემოკრატიული ინსტიტუტები, ენერგეტიკული უსაფრთხოება, შავი ზღვის უსაფრთხოება და ზოგადად რეგიონში უსაფრთხოების მყიფე არქიტექტურის ფონზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და მშვიდობიანი განვითარება – ეს იქნება ის მთავარი გზავნილები, რაზეც დელეგაცია ისაუბრებს, როგორც ორმხრივი შეხვედრების ფორმატში, ასევე სესიების ფარგლებში და აუცილებლად გაეცემა პასუხი ყველა იმ ნეგატიურ გზავნილს, რომელიც მომდინარეობს ჩვენი რადიკალური ოპოზიციის მხრიდან და რიგ შემთხვევაში მხარდაჭერილია პოლიტიკოსების მხრიდან“,** – განაცხადა ბითაძემ.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ სესიას წელს პორტუგალია მასპინძლობს. ქალაქ პორტოში მსოფლიოო ლიდერები და პარლამენტარები მსოფლიოში და ევროპის რეგიონში არსებულ გამოწვევებზე იმსჯელებენ. პორტოში უკვე იმყოფება ქართული საპარლამენტო დელეგაცია.

# გარდაიცვალა კომპოზიტორი ლევან თაქთაქიშვილი



**76 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართველი კომპოზიტორი ლევან თაქთაქიშვილი, –** ინფორმაციას საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი ავრცელებს.

**ლევან თაქთაქიშვილი დაიბადა 1949 წლის 15 აპრილს. 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია კომპოზიციის სპეციალობით ანდრია ბალანჩივაძის კლასში.**

**მუშაობდა გორის მუსიკალურ სასწავლებელში, შემდეგ – რუსთავის N3 სამუსიკო სკოლაში. 1981-1984 წლებში რუსთავის თოჯინების თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგეა; 1984 წლიდან კი თბილისის N26 მუსიკალური სკოლის პედაგოგი იყო. 2007 წელს მუშაობდა რეგენტად სამების საკათედრო ტაძარში.**

# <u>დავით შერაზადიშვილი</u>: ეს ცენტრი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ქართულ და აზერბაიჯანულ საზოგადოებას შორის კულტურათა დიალოგს

**საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, გოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის დელეგატმა დავით შერაზადიშვილმა გოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალავერში „კულტურისა და ხელოვნების“ ცენტრის გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევითა და დაფინანსებით მოეწყო.**



პარლამენტის წევრმა სიტყვით გამოსვლისას ადგილობრივებს განხორციელებული პროექტისთვის მადლობა გადაუხადა და ცენტრის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**„მსურს, მადლობა გადავუხადო თითოეულს ამ პროექტისთვის. მსგავსი სივრცის არსებობა ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე ცხოვრების დონის განვითარებას, რადგან იცით, რომ კულტურასთან ზიარება ამდიდრებს და ახალისებს ადამიანის ცხოვრებას.**

**ჩვენი მუნიციპალიტეტი გამოირჩევა კულტურული მრავალფეროვნებით და ეს ცენტრი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ქართულ და აზერბაიჯანულ საზოგადოებას შორის კულტურათა დიალოგს.**

**ამ სივრცეში წარმოდგენილი ქართულ – აზერბაიჯანული ლიტერატურა უზრუნველყოფს ნდობის, ტოლერანტობისა და ურთიერთგაგების გამყარებას“,** – განაცხადა **დავით შერაზადიშვილმა.**

დავით შერაზადიშვილმა ცენტრს საჩუქრად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ილია ჭავჭავაძის კრებული გადასცა.

# პოლიციამ ბათუმში ორი პირი დააკავა

**პოლიციამ ბათუმში მომხდარ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით ორი პირი დააკავა,** – ინფორმაციას შსს ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე: 2004 წელს დაბადებული ა.ა. და 2001 წელს დაბადებული ბ.ი. დააკავეს. ა.ა.-ს ბრალად ედება განზრახ მკვლელობის მცდელობა, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება, ხოლო ბ.ი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვისაა დაკავებული“.

# ლონდონში პოლიციამ 96 მლნ. ევროს ღირებულების კოკაინი ამოიღო



**ლონდონის პორტში, გადამზიდი კონტეინერიდან პოლიციამ 96 მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების კოკაინი ამოიღო.**

არსებული ინფორმაციით, ლონდონის პორტის მიმართულებით გადამზიდი ტანკერი, რომელზეც აღნიშნული კონტეინერი იყო მოთავსებული, პანამიდან ლონდონის პორტის მიმართულებით ივნისის თვის დასაწყისში დაიტვირთა და გამოემართა. ამოღებული კოკაინი, ჯამში 2.4 ტონას იწონიდა.

# გვიანობამდე სქროლვა მოზარდებში უძილობას და დეპრესიას იწვევს!

**ეკრანთან გატარებული დიდი დრო მნიშვნელოვნად აზიანებს ძილს მოზარდებში – და ეს გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა გოგონებში, რომელთა დეპრესიული სიმპტომების გაძლიერება, ხშირად, სწორედ ძილის დარღვევით აიხსნება.**



შვედეთში ჩატარებული ახალი კვლევა, რომელიც 4810 მოზარდს ერთი წლის განმავლობაში აკვირდებოდა, აჩვენებს, რომ ეკრანის გამოყენება ძილის ხანგრძლივობას, ხარისხსა და ბიოლოგიურ რიტმს (ქრონოტიპს) ერთდროულად აზიანებს. ეს ფაქტორები, თავის მხრივ, დაკავშირებულია დეპრესიის ნიშნების გაძლიერებასთან – განსაკუთრებით გოგონებში. ბიჭებში ძილის დარღვევებიც აღინიშნა, თუმცა მათ შემთხვევაში ეს ცვლილებები პირდაპირ არ იყო დაკავშირებული დეპრესიულ სიმპტომებთან.

კვლევა ჩაატარა შვედეთის კაროლინსკის ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფმა სებასტიან ჰოკბის ხელმძღვანელობით და გამოქვეყნდა ჟურნალ **PLOS Global Public Health**-ში.

კვლევის მიზანი იყო გამოერკვია, მოქმედებს თუ არა ეკრანთან გატარებული დრო ძილზე და არის თუ არა ეს გავლენა დაკავშირებული მოზარდებში დეპრესიის სიმპტომებთან.

მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ეკრანის გამოყენება აფერხებს ძილის ოთხ ძირითად ასპექტს:

ძილის ხანგრძლივობას, ძილის ხარისხს (დაძინების სირთულე, გამოღვიძება ღამით და ა.შ.), ქრონოტიპს (სხეულის ბიოლოგიურ რიტმს – გვიან დაძინება და გვიან გაღვიძება), სოციალურ ჯეტლეგს (კვირის დღეებსა და შაბათ-კვირას ძილის განსხვავებული რეჟიმი), განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ძილის ხარისხი – ეს იყო ის მაჩვენებელი, რომელიც გოგონებში დეპრესიულ სიმპტომებზე ყველაზე მეტად მოქმედებდა.

კვლევის ავტორებმა დაადგინეს, რომ ეკრანთან გატარებული დრო გოგონებში მნიშვნელოვნად უკავშირდებოდა დეპრესიის სიმპტომებს, ხოლო ეს კავშირი გამოწვეული იყო ძილის დარღვევებით.

ეს დარღვევები – განსაკუთრებით ძილის ხარისხის, ქრონოტიპისა და ხანგრძლივობის ცვლილებები – განაპირობებდნენ ეკრანის გავლენას ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

რაც შეეხება ბიჭებს, ეკრანთან გატარებულ დროს ჰქონდა გავლენა ძილზე, თუმცა ამ გზით განვითარებული ცვლილებები არ იყო მყარად დაკავშირებული დეპრესიასთან კვლევის 12-თვიან პერიოდში. მკვლევრების თქმით, ბიჭებში ეკრანის ნეგატიური გავლენა შესაძლოა გამოიხატოს სხვა ქცევით პრობლემებში – მაგალითად, იმპულსურობაში, ყურადღების დეფიციტში ან ქცევით სირთულეებში – რაც შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში გადაიზარდოს დეპრესიაში.

**„ჩვენი შედეგები აჩვენებს, რომ ეკრანთან ნაკლები დრო, შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის უკეთესია – რაც შეესაბამება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წინა რეკომენდაციებს. თუ ეკრანთან გატარებული დრო საზოგადოებრივ დონეზე, მაგალითად ჯანდაცვის პოლიტიკის მეშვეობით შემცირდება, სავარაუდოა, რომ მოზარდ გოგოებში, და შესაძლოა ბიჭებშიც, ფსიქიკური ჯანმრთელობის ტვირთი შესამჩნევად შემცირდეს.“**

# ნორვეგიაში 16 წელს მიუღწეველი მოზარდებისთვის ენერგეტიკული სასმელების მიყიდვას აკრძალავენ!

**ნორვეგიის ჯანდაცვის სამინისტრო მხარს უჭერს მთავრობის შემოთავაზებას 16 წელს მიუღწეველი მოზარდებისთვის ენერგეტიკული სასმელების მიყიდვის აკრძალვის თაობაზე,** – ინფორმაციას ნორვეგიული მედია ავრცელებს.

ჯანდაცვის ეროვნული სამმართველოს დირექტორის ლინდა გრანლუნდის თქმით, მისი უწყება ამ ინიციატივას მხარს უჭერს. გარდა ამისა, ის ფიქრობს, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ასაკობრივი ცენზის აწევაც არის შესაძლებელი.

**„ჩვენ აგრეთვე თანახმა ვართ, რომ მომავალში უპრიანი იყოს განვიხილოთ უფრო მაღალი ასაკობრივი ზღვარი, რადგან 16-18 წლის ახალგაზრდა ადამიანები კოფეინის ჭარბი მოხმარების ნეგატიური ზეგავლენის ქვეშ ექცევიან“,** – აღნიშნა გრანლუდმა.

მისი თქმით, 16-18 წლის ახალგაზრდა ადამიანები ყველაზე მეტ ენერგეტიკულ სასმელს მოიხმარენ.



# ახალი მუსიკალური ფესტივალი და დიდი მაესტროს პატივგება





**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სიღნაღში ბიძინა კვერნაძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი ცნობილი კომპოზიტორის ბიუსტის გახსნის ცერემონიით და მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოთი გაიხსნა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ქალაქის მთავარ სკვერში ბიძინა კვერნაძის ბიუსტი საქართველოს კულტურის მინისტრმა **თინათინ რუხაძემ** და კომპოზიტორის მეუღლემ **ნესტან მესხმა** გახსნეს.

**თინათინ რუხაძემ** დამსწრე საზოგადოებას ფესტივალის გახსნა მიულოცა და მონაწილეებს წარმატებები უსურვა.



საღამოზე, რომელსაც თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა, კომპოზიტორის უკვდავი ნაწარმოებები შეასრულეს სიმფონიურმა ორკესტრმა ნიკა ნიკვაშვილის ხელმძღვანელობით, მომღერლებმა **ნანი ბრეგვაძემ, ეკა მამალაძემ, სოფო ხალვაშმა, კონსტანტინე ყიფიანმა, აჩიკო ნიჟარაძემ, გიორგი სუხიტაშვილმა, მეკო ქავთარაძის ახალგაზრდულმა კაპელამ.**

ქართულ კულტურაში შეტანილი ღვაწლისთვის ბიძინა კვერნაძის სახელობის ჯილდო გადაეცათ: კომპოზიტორის მეუღლეს **ნესტან მესხს, ნანი ბრეგვაძეს** და მუსიკისმცოდნე **მანანა ახმეტელს.** ფესტივალის იდეის ავტორი, დამფუძნებელი და კონცერტის მუსიკალური ხელმძღვანელია **ნიკა ნიკვაშვილი.**

ფესტივალის მიზანია ქართული მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენა და მათი შემოქმედებითი პოტენციალის მხარდაჭერა, აგრეთვე ქართველი და უცხოელი ხელოვანების კოლაბორაციის ხელშეწყობა.

# მეუფე შიომ აბიტურიენტები დალოცა



**სამების საკათედრო ტაძარში,** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ **მეუფე შიომ აბიტურიენტები დალოცა.**

**„ძვირფასო აბიტურიენტებო, მინდა მთელი გულით დაგლოცოთ თქვენს ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდში, როცა თქვენ დაამთავრეთ სკოლა და უნდა შეუდგეთ უმაღლესი სწავლების სარბიელს. ცოდნა – ეს არის სინათლე, რომელიც ადამიანს აღამაღლებს და ამ ცხოვრების გზაზე წინსვლის საშუალებას აძლევს.**

**ღმერთი შეგეწიოთ, რომ ღირსეულად ჩააბაროთ ეს ცხოვრებისეული გამოცდა და აისრულოთ თქვენი კეთილი სურვილები“,** – მიმართა მეუფე შიომ აბიტურიენტებს.





# გიორგი ჯინჭარაძემ აფხაზეთის კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანები დააჯილდოვა

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში აფხაზეთის კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანების დაჯილდოება გაიმართა.**

შეხვედრაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ჯინჭარაძემ ქართულ-აფხაზური კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დევნილ ხელოვანებს მადლობა გადაუხადა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრ **ბექა ღვაჩლიანთან** ერთად, ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ღონისძიების ფარგლებში, დაჯილდოვდნენ: ანსამბლ „შავნაბადას“ პირველი გუნდის წევრი, მომღერალი **კონსტანტინე ამაშუკელი,** აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „აფხაზეთის“ მუსიკოსი **ივანე ტაბატაძე,** გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის კონცერტმაისტერი **ირინე სიმონიანი** და აფხაზეთის ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის უფროსი თაობის ქორეოგრაფი **სერგო გეგეჭკორი.**

# სოფელ ტანძიაში ფესტივალი „საბაობა 2025“ იზეიმეს

**ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, სოფელ ტანძიაში ფესტივალი „საბაობა 2025“ გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში სულხან-საბა ორბელიანის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.**

სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დასწრებოდნენ თეატრალურ წარმოდგენას, კონცერტს ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით. ფესტივალის ფარგლებში, ასევე, მოეწყო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების მიხედვით შექმნილი საბავშვო სპექტაკლების ჩვენება და სპორტული აქტივობები მკლავჭიდსა და ჭადრაკში.

ფესტივალის დასკვნით ნაწილში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ბუბა გობეჯიშვილმა ბოლნელ მთავარეპისკოპოს ეფრემთან ერთად 2024-2025 სასწავლო წლის წარჩინებულ მოსწავლეებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოხეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 2 ივლისს**